№ 214. ორშაბათი 13 აპრილი 1915 წ.

წელიწადი მეხუთე.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. 25 კ. საზღვარ-გარედ ორჯერ მეტი.

ᲗᲘᲗᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 5 ᲙᲐᲞ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ., ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

# ᲗᲔᲛᲘ

№ 214 ორშაბათი 13 აპრილი 1915 წ.

წელიწადი მეხუთე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს
რედაქციის კონტორის ბინა: ოლგას ქ., სახლი დიასამიძისა, № 4

ტელეფონი 6—60.

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

აჩვენებენ თეატრ კინო-პალასის

ᲡᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ საშუალებით სხვა და სხვა სურათებს

დასაწყისი საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე.

ყოველ ღამ უკრავს სიმებიანი ორკესტრი
ს. ი. პრესმანის ლოტბარობით.

---

სამხედრო ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხეში ფოსტის სახლის პირდაპირ გაიხსნა

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ

პროვიზორ ვარლამ ახვლედიანისა.

---

## Ს Ა Ხ Ა Ლ Ხ Ო  Ს Ა Ხ Ლ Ი

ოთხშაბათს, 15 აპრილს 1915 წ. თბილისის ქართული დრამატიული დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ცნობილი ანტიური ტრაღედია ს ო ფ ო კ ლ ე ს ი

## ᲝᲘᲓᲘᲞᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ

თარგმ. კ. ანდრონისა.

მონაწილეობს მთელი დასი.

რადგანაც მომქმედნი პირნი პარტერიდან შემოდიან სცენაზე,—9 საათის შემდეგ ყველა კარები დაიკეტება და დარბაზში არავის და არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებენ.

ადგილების ფასი: 1 მ. 50 კ.-დან 10 კ.-მდე, დასაწყისი საღ. 7 ნახევარს.

რეჟისორი მ. ქორელი.

---

საბურთალოს სცენის მოღვაწეთა წრის გამგეობა

იწვევს იმ სცენის მოყვარე ქალებს, რომელთაც სურვილი აქვთ იმუშაონ საბურთალოს სცენაზე. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თეატრის გამგეობის თავმჯდომარეს ლუკა ივანეს ძე ბაქრაძეს, საბურთალოზე—საკუთარს სახლში, ყოველ დღე ნაშუადღევის 5 საათიდან. და რეჟისორთან ვერაზე მატერიალური ქუჩა სახ. № 10, ბინა № 4, დილის 10 საათიდან ნაშუადღ. 1 საათამდის

---

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

როცა ათვალიერებ ჩვენს დროგამოშვებით გამოცემებს, ნება-უნებურად თვალი გიჩერდება ისეთ წერილებზე, რომელშიაც ჩვენი ხალხი მოხსენებულია დაბეჩავებულად. ამ წერილებში ავტორები სცდილობენ მოაჩვენონ მკითხველს საქმე იმნაირად, თითქოს ჩვენ ვისმე დაბრიყვებული ვყავდეთ, თითქოს ყველას სურდეს ჩვენი ხელისწამოკვრა და სხვ.

გულ-ახდილად უნდა ვსთქვათ, რომ ასეთ წერილებს ჩვენ მეტად მავნებლად ვსთვლით. ჩვენ დარწმუნებული ვართ ამგვარ წერილებისთანა ავტორებს ჩვენი ხალხისათვის სარგებლობის მოტანის გარდა სხვა მიზანი არა აქვთ-რა, მაგრამ ჩვენის ღრმა რწმენით, ამის და მიუხედავად მათ წერილებს მხოლოდ ვნება მოაქვთ და სხვა არაფერი.

მეორდება სწორედ ის, რაც ემართება ხოლმე კერძო პირს, როცა მუდამ ჩასჩიჩინებენ: შენ უბედური ხარ, ყველანი შენ ხელსა გკრავენ, დაგიბრიყვეს და სხვ. ასეთ ჩიჩინს შედეგად ის მოჰყვება ხოლმე, რომ „დაბეჩავებული“ პირი მართლაც რაღაც ყველასაგან ხელწამოსაკრავ ადამიანად გადიქცევა ხოლმე და მისი პიროვნებაც მოდუნებული და ყველასაგან ათვალწუნებული ხდება.

სწორედ ასევე ემართება ხალხის კოლექტიურ პიროვნებასაც. შეუძლებელია მუდამ ჩასჩიჩინებდე ხალხს დაბრიყვებაზე და დაბეჩავებაზე. ამით სუსტდება ძალიან საზოგადოებრივი მაჯის-ცემა, იშრიტება მისი ძალღონე და სიცოცხლეც დუნდება. ხალხი ეჩვევა სხვის ასეთ შეხედულებას თავის თავზე და ყოველ უცაბედად შემთხვეულ მარცხს სწორედ ამ ადვილად ნაპოვნი მიზეზითა ხსნის.

წარმოიდგინეთ, ჩვენში საქმე იქამდინ მისულა, რომ, როგორც სარწმუნო პირებმა გვიამბეს, ერთს უმაღლეს სასწავლებელში ზოგიერთი ქართველი მოწაფეები თავის მარცხს გამოცდის დროს ისე ხსნიან, ვითომც პროფესორები მათ სდევნიან როგორც ქართველებს,—ეს მერე იმ დროს, როდესაც ეს მათი პროფესორები, თურმე, მემარცხენე ჰუმანური მიმართულებისა არიან.

აი სადამდის შეუძლია მიაღწიოს დევნილის ფსიქოლოგიამ!... ამიტომ დიდი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს ამგვარ წერილების გამოქვეყნებას. ჩვენი ერი მართლაც ყველასაგან დევნილი და ხელ-წამოსაკრავი შეიქნება, თუ საუკეთესო მისი შვილნი თავიანთ მარცხს მხოლოდ „გარეშე პირობებით და მიზეზებით“ ახსნიან და თვითონ თავიანთ ცხოვრების შინაგან თვისებების სფეროს არ მიჰმართავენ ხოლმე ნამდვილ მიზეზების გამოსაძებნად და საქმის გამოსასწორებლად.

მკურნალობის საქმეშიც ხომ სწორედ ასე ხდება. წამლობა უსარგებლოა, თუ ავადმყოფობის გამორკვევადიაგნოზი—სწორე არ არის ზემოხსენებულ კერძო მაგალითში სწორედ ასე იყო. როდესაც მარცხ-ნახულმა მოწაფეებმა ერთს თავიანთ პატიოსან მესაიდუმლეს გაუმჟღავნეს თავის „ნაფიქრი“ პროფესორების მათი დევნის შესახებ, ამ მოწაფეების ნამდვილმა მეგობარმა აღმოაჩინა, რომ მოწაფეების მარცხი პროფესორთა მიკერძოების ბრალი კი არ იყო, არამედ მათი საგნის უცოდინარობისა.

ასეა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაშიაც. ყოველ ჩვენ მარცხს საზოგადო თუ პოლიტიკურ სფეროში ჩვენ ვხსნით ჩვენი დევნით, ჩვენი დაბრიყვებით ვინმე სხვისი მხრით. პატარა დაკვირვება და თვალებიდან ბისტის მოშორება ადვილად დაგვანახვებდა, რომ თავი და თავი მიზეზი ჩვენი დამარცხებისა ისევ ჩვენ თვითონა ვართ. ამ ჩაკვირვებისა თითქოს ჩვენ გვეშინია, არ გვინდა ღრმად ჩავიხედოთ საგანში და მიზეზები ისე აღმოვაჩინოთ. ამას რომ შევჩვეოდით, მაშინ იქნება სხვაფრივ მოგვეწყობოდა საქმეები. მაშინ აღმოვაჩენდით, რომ ბევრის ცოდნა გვაკლია. აიღეთ, თუნდ, ეს ჩვენი მხარე. თუ გულითა გვსურს საქართველოს ბედნიერებას ვემსახუროთ, უნდა უეჭველად შევისწავლოთ არა მარტო საქართველოს შესახებ საქმეები, არამედ მთელი კავკასიისა. რა თქმა უნდა, უნდა შესწავლილი გვქონდეს აგრეთვე უაღრესად რუსეთის სახელმწიფოებრივი საქმის წყობილება და მსვლელობა. უნდა ვიცოდეთ, რა ჰხდება ამ სფეროებში, რას გვიმზადებენ. უნდა გვყავდეს ამ საქმეებში ჩახედული და მცოდნე პირები. თორემ ამგვარ ინფორმაციის უქონლობის გამო კიდევ მრავალჯერ ფეხი წაგვისხლტება ყინულზე. მაგრამ როგორცა სჩანს ამას ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩვენ გვყავს სატახტო ქალაქებში თანამოძმენი, რომელთაც დრო და გარემოება ხელს უმართავთ საჭირო ცნობები მოგვაწოდონ ხოლმე, მაგრამ ესენი გაყუჩებულნი სხედან იმ დროს, როდესაც მათი ამხანაგები, სხვა ერების შვილნი, ამ თავიანთ ხალხთა სასარგებლოდ მედგრად დაუსვენებლივ მუშაობენ და აწვდიან საჭირო ცნობებს აქაურ მოღვაწეებს მწყობრ და სასარგებლო მოქმედების შესაქმნელად.

ჩვენშიაც ასევეა. აქაურ ოფიციალურ დაწესებულებათა საქმეთა მსვლელობას ვერ ვადევნებთ სრულებით თვალ-ყურს; არ ვიცით, რა ხდება, იმ დროს, როდესაც სხვები ახერხებენ შეტყობას და ნამდვილ გარემოებასთან შეფარდებულ საქმიანობის გაჩაღებას. ეს რა!... ჩვენ ისიც კი ვერ მოგვიხერხებია, რომ სასოფლო მეურნეობის შესახებ შეკრებილი ცნობების შემუშავება ჩვენ თვითონ ვიკისროთ, ან რომელსამე სხვა ჩვენს მოკეთეს ჩავაბაროთ; ჩვენისავე დაუდევრობით ეს საქმე ჩაბარებული აქვს ერთს არა-კავკასიელს, ჩვენი ერის მოძულეს, რასაც ხმა მაღლა ვლაპარაკობთ და ხელს კი არ ვანძრევთ, რომ სხვაფრივ მოვაწყოთ ეს ყოვლად საჭირო საქმე. ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ იმ „საზოგადოებას“ მიჰმართავენ ხოლმე სხვაგნებურნი ჩვენი მეურნეობის შესახებ ცნობების შესატყობად, სადაც ხსენებული ჩვენი „მოყვარე“ ჰმოქმედებს და ახლა, წარმოიდგინეთ, განა შეიძლება უზრუნველ-ყოფილი ვიყვეთ, რომ მისი წყალობით არ გამოცხვება სხვა და სხვა ჭორი ჩვენი კულტურისა და მეურნეობის შესახებ?

მაგრამ ეს რად ხდება? მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ არა გვსურს ასეთი ცოდნა შევიძინოთ და ჩვენ თვითონვე ვმართოთ ამგვარი საქმეები. არც ერთი ამისთანა პოზიცია არავის არ უნდა დავუთმოთ. ყველაფერს ჩვენ თვითონ უნდა ვაკეთებდეთ.

უნდა ავამოძრავოთ ჩვენი ახალგაზრდობა, უნდა უფრო ყურადღებით ვადევნოთ მათ სწავლა-აღზრდას თვალი, შევაძენინოთ საჭირო ცოდნა, შევათვისებინოთ ბეჯითობა და შემდეგ სწავლა-შეჭურვილს გზა გავუხსნათ ჩვენს საზოგადო სარბიელზე.

ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვლაპარაკობთ, რომ სადღეღელი გვქონდეს აშლილი მუსაიფისათვის, არამედ იმიტომ, რომ ახლოვდება საარჩევნო დრო. უნდა შეიკრიბოს თავად-აზნაურობა, უნდა მოხდეს არჩევნები ხმოსნებისა, უნდა შესდგეს საბანკო კრებები და სხ. ყველგან ქართველობა უნდა იყოს ფხიზლად, ირჩევდეს მხოლოდ იმათ, ვინც საზოგადოებრივი ფართო მსოფლმხედველობით და ხალხისათვის თავისდადებით არის გატაცებული. ყველა ამას ვლაპარაკობთ ასე თამამად, რადგანაც, დარწმუნებული ვართ, მკითხველი ისე არ ჩამოგვართმევს, თითქოს გვსურდეს ჩვენი კანდიდატების „გასაღება“ განთავისუფლებულ ადგილებზე.

როდესაც სერიოზულად მოვეპყრობით ყოველ ჩვენს საზოგადო საქმეს, ჩვენს საზოგადოებრივსა და პოლიტიკურს მოვალეობას, მაშინ, უეჭველია, აღარ დაგვჭირდება ჩვენი მარცხის მიზეზების ძებნა გარეშე გარემოებათა სფეროში...

---

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ. *)

### I

### ეროვნულ გაერთიანების მნიშვნელობა.

ახლანდელი ისტორიული მომენტი გვიკარნახებს, რომ ჩვენ, ქართველები, უნდა გავერთიანდეთ ჩვენი ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის. ჩვენ სახეში გვაქვს არა ჯგუფობრივი, ან პარტიული გაერთიანება, არამედ უფრო ფართო, ეროვნული იდეალის მისაღწევად.

ამას წინად მთელი საქართველო თავის შვილთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რწმენის განურჩევლად გაერთიანდა აკაკის წმინდა ნეშტის წინაშე. აკაკი ყოველთვის წინამორბედი სხივოსანი ვარსკვლავი იყო ერთ რომელსამე პოლიტიკურ მიმართულებისა ან წოდებისათვის კი არა, არამედ მთლად საქართველოსათვის. აკაკის განსვენება იმიტომ გადიქცა დიდ [illegible] გლოვად, რომ ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩვენი ზეგარდმო ნიჭით ცხებული წინასწარმეტყველი თავის შეგნების პირველ წამებიდან მოყოლებული გულის უკანასკნელ ფეთქამდე, თვით სასიკვდილო სარეცელზედაც კი ელოლიავებოდა და უმღეროდა მთელი საქართველოს აღორძინებას და სიდიადეს.

თვით განგებამ ისურვა, რომ აკაკის წმინდა ხსოვნა გამხდარიყო ახლანდელ ისტორიულ წამში ჩვენი ეროვნულ გაერთიანების სიმბოლოდ.

დიაღ! დღეს ეროვნებანი ერთდებიან და არა პარტიები, ან წოდებანი.

შეხედეთ ევროპას და დაინახავთ, რომ ყველანი გაერთიანდენ თავიანთ ნაციების და სახელმწიფოების ღირსების და სახელის დასაცავად. საფრანგეთში, მაგალითად, ომის დაწყების წინა დღეებში დაეცა ბ. რიბოს კაბინეთი პარლამენტში დეკლარაციის წაკითხვის დროს. ომის დაწყების შემდეგ კი თვით ჭეშმარიტი ბელადნი სოციალიზმისა დათანხმდენ ოპორტიუნისტ და თუ გნებავთ თვით რეაქციონერ რიბოს გვერდით დამსხდარიყვნენ სამინისტროში. აი ეს სხვა დროს შეუფერებელი თანამშრომლობა დღეს საფრანგეთში აუცილებელ საჭიროებად არის აღსარებული. მარტო ამ ფაქტში გამოიხატა ფრანგების პოლიტიკური სიმწიფე, შეგნება და უდიდესი პატრიოტიზმი.

ინგლისშიაც ომის დაწყების წინ ირლანდიის საკითხმა გაამწვავა ამ ქვეყნის პარტიათა ურთიერთობა, ძმათა შორის კინაღამ სისხლიც კი დაიღვარა, მაგრამ, როგორც კი მსოფლიო ტრაგედიაში იძულებული გახდა ჩარეულიყო ინგლისი, მაშინვე ჩაჰქრა პარტიული უთანხმოება და შუღლი, ინგლისელები, ვით ერთი ადამიანი, მამაცად გაუმკლავდენ მტერს.

ასეთ აუცილებელ გაერთიანების მაგალითები ბევრი მოიძებნება თვით რუსეთის აწმყოსა და წარსულში. ცნობილი კაველინი სწერდა პოგოდინს 3 ნოემბერს 1855 წელს: „ახლა დრო ისეთია, რომ ყველა პატიოსანმა და საღი ჭკუის ხალხმა რუსეთში უნდა მიივიწყონ თავიანთი პირადი, ლიტერატურული და მეცნიერული უკმაყოფილება, მეორე ალაგას დააყენონ თავიანთი უთანხმოება აზრთა სფეროში და წინ წამოაყენონ—ერთობა, ერთი ერთმანეთისადმი ნდობა და თანხმობა იმაში, რაშიაც შესაძლებელია ეს თანხმობა მოხდეს“.

ან რა საერთო უნდა ჰქონოდათ რუსის რადიკალიზმის მამათ-მთავარ ნიკ. ჩერნიშევსკისა და სლავიანოფილებს? მაგრამ აბა დაეკითხეთ ისტორიას: როგორი განწყობილება ჰქონდა ნიკ. ჩერნიშევსკის სლავიანოფილობასთან ალექსანდრე მეორის მეფობის დასაწყისში?

ნ. ჩერნიშევსკი სცდილობდა ამ დროს მეგობრული განწყობილება ჩამოეგდო თავის ჟურნალ „სოვრემენნიკსა“ და სლავიანოფილების ჟურნალ „რუსკაია ბესედას“ შუა.

„თანხმობა მისწრაფებათა სფეროში იმდენად ძლიერია,—სწერდა მაშინ ნიკ. ჩერნიშევსკი ხსენებულ „სოვრემენნიკში“,—რომ კამათი შესაძლებელია მხოლოდ განყენებულ და ამიტომ ბუნდოვან საკითხების შესახებ და რომ თეორიულ საგნების გამო დავობის დროს არ უნდა გავაშოროთ ხელები, რომელნიც სამეგობროდ არიან გამოწვდილნი და შესათანხმებლად ისეთ კითხვებში, რომელნიც მეტად მნიშვნელოვანი არიან ჩვენი სამშობლოსათვის ამ ჟამად“.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, როცა ეროვნებას შეგნებული აქვს და საჭიროდ სთვლის გაერთიანებულად წარმოიდგინოს თავისი თავი, ეს გარემოება ჰმოწმობს ამ ეროვნების სიმძლავრეს და სიდიადეს. ცალკე პირებიც, რომელნიც ამ გაერთიანებას საჭიროდ სთვლიან, უეჭველად შორს-მჭვრეტელობას იჩენენ.

ერი, რომელიც ვერ ახერხებს მნიშვნელოვან ისტორიულ წამებში გაერთიანდეს თავის პოლიტიკურ ეროვნულ იდეალების გარშემო, ჰკარგავს უფლებას უკეთეს მერმისზე. მის ხელმძღვანელთ ნება არა აქვთ იამაყონ თავისი პოლიტიკური სიმწიფით, რადგანაც უდიდესი პოლიტიკური წამები ხშირად არ მეორდება. ამიტომ ამ წამების მომსწრე თაობა, რომელსაც არ ძალუძს ამ მომენტების გამოყენება, დიდი პასუხისმგებელია თვის ერის ისტორიის, მომავალის და შთამომავლობის წინაშე.

ჩვენც, თუ გვსურს ჩვენი ინტერესები შევიგნოთ, უნდა მივბაძოთ ყოვლად კულტურულ ერთა და მათ საუკეთესო დიდსულ შვილთა მაგალითს, უნდა გავერთიანდეთ. ყველამ, ცალკე პირებმა, თუ ჯგუფებმა უნდა გადავსდოთ მეორე-რიგის საკითხები, მით უფრო პარტიული ანგარიშები და შევერთდეთ ძირითადი ჩვენი ეროვნული საქმის მორიგ საკითხად დასაყენებლად.

აკაკის ნეშტის წინაშე მომხდარი გაერთიანება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ჩვენ, ქართველებს, შეგვძლებია გაერთიანება მნიშვნელოვან ისტორიულ წამებში.

მთელი მოაზროვნე რუსეთი, რომელიც ახლა დიდ მონაწილეობას იღებს დღევანდელ ამბების მსვლელობაში, მოუთმენლად მოელის, თუ რა მოჰყვება სახელმწიფოს შინაგან ცხოვრებას ომის დამთავრების შემდეგ.

ყველა პატარა ერები დიდ ერთან ერთად მკლავ-გაყრილი დიდის გულმოდგინებით და მამაცურად ემსახურებიან საერთო სახელმწიფოს ღირსების და სახელის დაცვას. ისინი იმედოვნებენ, რომ დადგება საუკეთესო მერმისი მათთვისაც. ამიტომაც ადგილობრივ მნიშვნელოვან საკითხებზედაც უთითებენ.

ნუთუ ქართველმა ხალხმაც, რომელმაც არაფერი დაზოგა ამ სახელმწიფოებრივ მოვალეობის შესასრულებლად, არ უნდა მოამზადოს ნიადაგი თავის არსებობის ძირითად საკითხის მორიგ საკითხათ გადასაქცევად?..

ჩვენი ეროვნული იდეალების განხორციელება დამოკიდებულია ორ უმთავრეს ფაქტორზე: **ჩვენს შინაურ გაერთიანებაზე და რუსის პოლიტიკურ აზროვნების განწყობილებაზე ჩვენს ეროვნულ საქმისადმი.**

პირველი მთლად ჩვენს ხელშია: დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეგნებული გვაქვს გაერთიანების საჭიროება დღევანდელ ისტორიულ მომენტში, მეორე—კი ეწყობა ცოტად თუ ბევრად ჩვენს სასარგებლოდ.

მრავალი ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ ჩვენი ხალხის გარეშე არსებული გარემოებანი ხელს უშლიან ჩვენი სამშობლოს აღორძინებას და საზოგადოდ ჩვენი ეროვნული საქმის წარმატებას. მაგრამ ეს რწმენა მხოლოდ რამდენადმე სამართლიანი, უმთავრესი მიზეზი კი ჩვენი საქმეების უკულმართ მსვლელობისა არის ჩვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზროვნების დაქსაქსვა და სრული გაუგებრობა ნაციონალურ მსოფლ-მხედველობის შემუშავებაში. ყოველივე ეს შედეგია იმ განათლებისა, რომელსაც ჩვენ ვიღებთ ახლანდელ სასწავლებლებლებში და რომელიც აშორებულია ჩვენს მშობლიურ ნიადაგს.

მხოლოდ საქართველოს ისტორიის სისტემატიური შესწავლა, მეცნიერული და არა შემთხვევითი, ზერელი, რომელიც შეგვიერთებდა ჩვენს აზროვნებაში ჩვენს წარსულსა და ჩვენს აწმყოს, მოგვცემდა სახელმძღვანელო პრინციპებს ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავალის შესაქმნელად და საქართველოს კულტურულ—ისტორიულ მისსიის გამოსარკვევად. მხოლოდ ასეთი ცოდნა შესაფერად აღზრდიდა ჩვენს ახალგაზრდობას და მისცემდა მას საშუალებას გამხდარიყო ღირსეული განმგრძობი თავის წინაპართა კეთილი საქმისა. მხოლოდ ამ გზით განმტკიცდებოდა უფრო ჩვენს ხალხში გრძნობა ნაციონალური ღირსებისა და დაგვარწმუნებდა, რომ ზედ-მეტნი არა ვართ ამ ქვეყნად და ჩვენც შეგვიძლიან მოვიხადოთ კულტურული ვალი კაცობრიობის წინაშე. ამ ცოდნის შეძენას რომ დართოდა აგრეთვე ნამდვილი ევროპიული განათლება, მაშინ, რასაკვირველია, დაგვებადებოდა მრავალი, მთლიანი ხასიათის მქონე, ხალხი, რომელიც ადვილად გაუმკლავდებოდა ჩვენი კეთილი ცხოვრების შემბორკველ გარეშე პირობებს. მაგრამ საუბედუროდ, [illegible] ნაკლით არის სავსე ჩვენი [illegible] ბის ახლანდელი აღზრდა. ჩვენ[illegible] ხდება ისეთი ხალხი, რომელიც მოკლებულია ხასიათის სიტკიცეს, მხნეობას და თავის შეკავებას, ერთის სიტყვით ეგრედ წოდებულ შინაგან დისციპლინას. საქმეს უფრო ახდენს ისიც, რომ ჩვენ არა გვაქვს ფართო საზოგადოებრივი ცხოვრება, არ მოგვეპოება ნამდვილი საზოგადოებრივი თვითმართველობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პრაქტიკულად მაინც გაწრთვნილიყო ჩვენი ახალგაზდობა, საზოგადო საქმეს დაწაფებული. ამიტომ ჩვენ უფრო ფიქრის სფეროში ვნავარდობთ, ვიდრე ვმოქმედებთ და ვსაქმიანობთ. ჩვენდა საუბედუროდ, ფიქრის მხრითაც ისე ვფიქრობთ, რომ სრულებით არა ვგრძნობთ პასუხისმგებლობას. ხშირად პასივურად ვითვისებთ უცხო აზროვნებასაც. ამის შედეგია, რომ ჩვენში ხშირად ერთმანეთისას ვერ ვგებულობთ.

ამას თუ დავურთავთ ჩვენს არა-სასურველ უფლებრივ და ეკონომიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით, ჩვენი მშრომელი მასსისას, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რომ ჩვენში ნიადაგი მომზადებულია სხვა და სხვა განყენებულ პოლიტიკურ აზროვნებისათვის. ყოველი ჩვენგანი ეჭიდება შეთვისებულ ამისთანა აზროვნებას და არა ვგრძნობთ, რომ ნაწილი ვართ მშო-

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგანაც საგულისხმო კითხვებს ეხება. ავტორს სახეში აქვს ისეთი საგნებიც, რომელთ შესახებ ჩვენ სხვა შეხედულებისა ვართ. თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყო, ჩვენს აზრს ამ საგნების შესახებ განვმარტავთ ჩვენი მკითხველებისათვის. რედ.

...ული ხალხისა, ანგარიშს არ ვუწევთ ჩვენი ხალხის ფსიქოლოგიას, მსოფლმხედველობას და არ ვაფასებთ ეროვნულ სოლიდარობის გრძნობას.

ერთი დიდი სოციოლოგი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ინგლისელებს. „სოლიდარობის გრძნობა ინგლისელებისა დაფუძნებულია იმაზე, რომ მათ საერთო იდეები აქვთ. ეს თვისება გამომდინარეობს მეტად განმტკიცებულ ინგლისურ ეროვნულ სულიერებიდან. ყოველი ინგლისელი, ქვეყნიერების რომელ კუთხეშიაც უნდა იყვეს, სთვლის თავის თავს ინგლისის წარმომადგენლათ და თავის აუცილებელ მოვალეობად სთვლის იმოქმედოს თავის ქვეყნის ინტერესების მიხედვით. სხვა და სხვა ხალხის დიპლომატიურ აგენტებში ინგლისის დიპლომატები თავიანთ მთავრობისაგან სხვებზე ნაკლებ ღებულობენ ინსტრუქციებსა და დარიგებას, მაგრამ ამისდა მიუხედავად ბაასობენ და მოქმედებენ ყველაზე მეტ ერთსულოვნობით და სიმწყობრით“.

— ეს ინგლისელები არიან ასეთები!—მეტყვიან მე.

— კი, ბატონო,—ვუპასუხებთ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ დიდებული მაგალითები გვეძლევა მისაბაძავად.

და თუ ასე იქცევიან ინგლისელები მშვიდობიან ცხოვრების დროს, ნუ თუ ჩვენ, ქართველები, ასეთ უნარს მოკლებული ვართ განსაკუთრებულ ისტორიულ დიდად მნიშვნელოვან წამებში?..

ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვიკრიბოთ ყოველივე ღონე გონიერ სოლიდარობის შესაქმნელად, რაშიაც მხოლოდ არის ჩვენი ხსნა. თუ კი უნგრეთში, სერბიაში, ბელგიაში, საფრანგეთში და ინგლისში მთლად ნაცია გაერთიანდა, პარტიისა და პოლიტიკურ რწმენის განურჩევლად, რატომ ესევე არ უნდა მოხდეს ჩვენში?

რუსეთშიაც ასეთი გაერთიანებაა, მხოლოდ ევროპიულ ნაციების გაერთიანებისაგან ის იმით განირჩევა, რომ აქ ორნაირია. გარეშე მოპირდაპირეს მოგერების საქმეში გაერთიანდენ სახელმწიფოებრივ ერთან ყველა პატარა ერები, ამავე დროს ზოგიერთ ამ პატარა ერების საქმის საუკეთესოდ გამოსაწყობად ყოველ მათგანში მოხდა ნაციონალური გაერთიანება, მაგალითად, პოლონელებში, სომხებში და სხვ. მხოლოდ ქართველმა ხალხმა არ დაინახა საჭიროდ გაერთიანებულიყო ეროვნულად შინაგან ცხოვრებაში, ეს მერე იმ დროს, როდესაც ბრძოლის ველზე მან გაჰგზავნა შედარებით დიდძალი რამდენიმე ასი ათასი მეომარი.

ნუ თუ ჩვენ არა გვსურს ომის დამთავრების შემდეგ,—იმ ომის, რომლის მიზანია ერთა თავისუფლება,—განვაცხადოთ ჩვენი ეროვნული მისწრაფებანი?

ამისათვის კი საჭიროა შინაგანი ძალა, რომელსაც მხოლოდ გაერთიანება მოგვცემს.

ზოგიერთები ჰფიქრობენ, ვითომ ირლანდიის საკითხი აღიძრა მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისის მთავრობის სათავეში იდგა დიდებული მოხუცი გლადსტონი, რომელმაც თავი ისახელა პოლიტიკაში თავის ჰუმანობით და სამართლიანობით. ნამდვილად კი დიდებული მოხუცი იძულებული გახდა ეს საკითხი წამოეყენებინა, რადგანაც უდიდებულესმა მთელს ქვეყანაში პოლიტიკურმა მოღვაწემ პარნელმა შეჰქმნა ირლანდიაში უდიდესი მოძრაობა და მძლავრად გააერთიანა მთელი ირლანდია პოლიტიკურ თვითმართველობის მოსაპოვებლად. ამ მოძრაობამ დაჰფარა ყველა სხვა მიმდინარეობა, რომელიც არსებობდა ირლანდიაში. გლადსტონი იმდენად იძულებული იყო ანგარიში გაეწია ამ მოძრაობისათვის, რომ 1886 წელს 8 აპრილს იმ საღამოს, როცა შეჰქონდა პარლამენტში თავის ბილლი ჰომრულის შესახებ, ეკითხებოდა პარნელს, მიიღებდა ის თუ არა ამ ბილლს.

ასეთი ძალა ჰქონდა პარნელის-მიერ შექმნილ ირლანდიულ ნაციონალურ გაერთიანებას.

ჩვენ, რომელთაც შეგვიგნია ჩვენი რეალური ინტერესები, არ შეგვიძლია არ გავერთიანდეთ ეროვნულად და არ მივიღოთ სახელმძღვანელო საფუძვლები იმ ხალხებისაგან, რომელნიც ჩვენსთანა პირობებში სცხოვრებენ, მხოლოდ ჩვენზე კი მაღლა სდგანან.

ჩვენ უნდა ახლავე ვემზადებოდეთ, რადგანაც არ ვიცით არც დღე, არც საათი, როდესაც დადგება მოსალოდნელი ისტორიული წამი და დავეჭირდება ჩვენი ნაციონალური მისწრაფების წამოყენება. გაერთიანება ამიტომ ჩვენთვის აუცილებელია, თუ არ გვინდა დავრჩეთ პირში ჩალა-გამოვლებული...

*გარეშე.*

# მიმოხილვა.

8 წელიწადი შესრულდა კიდეც, რაც დაარსდა იმისთანა სასარგებლო დაწესებულება, როგორიც არის თბ. სახალხო უნივერსიტეტი. ეს იყო საქმე, რომელსაც უნდა გამოეჩინა ჩვენი კულტურული საქმიანობის უნარი.

გვახსოვს, რა სიხარულითა და რა ამბით შევეგებეთ წესდების შედგენას და დამტკიცებას, რა აღფრთოვანება სუფევდა დამფუძნებელ კრებაზე 11 თებერვალს 1907 წელს. პირველი ლექცია წაიკითხა, 4 მარტს ამ ყოვლად მნიშვნელოვან დაწესებულების გულმოდგინე თაოსანმა ბ. ვარლამ ჩერქეზიშვილმა, რომელმაც მიუთითა მუშებსა და დემოკრატიულ ინტელიგენციას, რომ განზრახულ დაწესებულებას მისცემოდა დღევანდელი სახე. ლექციის თემა იყო „სახალხო უნივერსიტეტები დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში“. [illegible] 500 კაცი დაესწრო. პირველსავე წელს წაიკითხეს ლექტორებმა 51 ლექცია, რომელსაც დაესწრო 18.685 მსმენელი. ეს დაწესებულება მით არის უფრო საგულისხმო, რომ მის ფრთას ქვეშ მოიყარეს თავი თბილისში მოსახლე ყველა ერების გრძნობიერმა შვილებმა. აქ მუშაობენ ქართველი, რუსის, მაჰმადიანი, სომხის ოსის სახალხო მოღვაწეები.

დაფუძნების წელს გამგეობამ დაარსა მოზრდილთათვის 6 სკოლა და მოაწყო საღამოს სისტემატიური კურსები. მსმენელები უფრო მუშები იყვნენ. ამ უნივერსიტეტის საზოგადოებას 416 წევრი ჰყავდა. მეორე წელიწადს მუშები უფრო მრავლად ჩაეწერენ წევრებათ, თუმცა ლექციების რიცხვმა იკლო. 1908 წელს უნივერსიტეტის საქმეთა მსვლელობა შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ შემოდგომაზე აღკრძალეს ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა. ამ ამბავმა დიდი ზარალი მოუტანა ამ სახალხო იდეის სავსებით განხორციელებას. მას დღეს აქეთია ეს საქმე ვერ გამოსწორდა. თუმცა, ახლა ნება-დართულია ადგილობრივ ენებზე ლექციების კითხვა, მაგრამ მაინც შეუძლებელია თემების თავისუფალი არჩევა. ლექტორების რიცხვიც ამისა და სხვა მიზეზის გამო ძალიან მცირეა. საუბედუროდ, „გარეშე პირობებმა“ დაჰბადეს საზოგადოებრივი გულ-გრილობა ამ დიად საქმისადმი და ეს გულ-გრილობა ვერ იქმნა და ვერ იძლია აქამდინ. ამ ჟამად უნივერსიტეტს 543 წევრი ჰყავს. საჭიროა დაწესებულების მოთავეებმა შეჰკრიბონ თანამგრძნობი და მოსაქმე პირები და მოახდინონ თათბირი, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ეს სახალხო საქმე.

სასურველია ავრეთვე გამოჩნდენ აქ მოსახლე ერებში შეძლებული პირები, რომელნიც არ დაიშურებენ სალსარს, რომ გაუჩინონ სახ. უნივერსიტეტს სამუდამო ბინა. ეს იქნება დიდი ნაბიჯი დიადი საქმის გამოსაბრუნებლად. თორემ ახლანდელი მცირე ბიუჯეტით საქმეს ვერას უშველის რაც უნდა ეცადოს და ენერგია დახარჯოს გამგეობამ.

მაგრამ, სადა ხარ დღეს ასეთო ადამიანო, რომ ჰკურნო წყლული ხალხისა?!

---

აჭარლებს კარგი „აღდგომა“ დაუდგათ. მოწყალეს თვალით დაუწყეს ყურება მთავრობამაც და ასე გასინჯეთ პრესამაც,—იმ პრესამ, რომელმაც სულ პირველად შეჰქმნა ზღაპარი აჭარლების ღალატის შესახებ. ახლა ზოგიერთი გავლენიანი გამოცემები, რომელთაც სინიდისი აწუხებთ, სცდილობენ საჩქაროდ მოიხადონ ვალი აჭარლების წინაშე. გაზეთები „რუსკია ვედომოსტი“, „კიევსკაია მისლ“ და სხვ. თავიანთ თანამშრომლების პირით უკვე აუწყებენ ქვეყანას, რომ აჭარაში მხოლოდ რამდენიმე პირი გადავიდა ოსმალეთის მხარეზე. მაგრამ რაღა დროს? ცოტა ნაგვიანევია. მთავრობამ უფრო ადრე შეიტყო ყველა ეს ამბავი და კიდეც განკარგულება გასცა, რომ აჭარლები დაბრუნდენ თავიანთ კარმიდამოზე. მხოლოდ გონიის ნაწილში არ უშვებენ ნებართვის აუღებლად. ასეთი ცვლილება აჭარის საქმეში უნდა მიეწეროს, რასაკვირველია ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელმაც ყოველივე ღონე მიიღო ჭეშმარიტება გამოერკვია რაც შეიძლება მალე. მოვა დრო, ყველაფერი გამომჟღავნდება და ღვაწლი ამ პირებისა აღნიშნული იქნება დიდის მადლობით მადლიერი ხალხის მიერ.

ეს არის მხოლოდ ჩვენ ვსუსტობთ ძალიან აჭარლების დამხმარე თანხის მოგროვების საქმეში. ძალიან ცოტა იკრიბება. საჭიროა მომავალმა საბანკო და სათავად-აზნაურო კრებებმა ყოველი ღონე იღონონ ამ თანხის გასაძლიერებლად. მართალია, აჭარლობა ბრუნდება უკვე თავიანთ ბინაზე, მაგრამ, ნუ დავივიწყებთ ეს ბინები აოხრებულია და მათ აღდგენა სჭირდება.

მაშ! გამოვიჩინოთ მეტი ფხა მოძმეთა მისაშველებლად.

*მარკიზ პოზა.*

# გაჭირვება სოფლად.

დღეს ქალაქებში დიდი აურზაურია და გოდება იმის შესახებ, რომ სანოვაგე მეტის მეტად გაძვირდა, ხოლო თუ ომი გაგრძელდა, მაშინ უარესი სიძვირე გამეფდებაო. ამ გაჭირვების თავიდან ასაცილებლად შესდგა ორგანიზაციები, და მთელი კულტურული საზოგადოებაც ამოძრავდა ამ ორგანიზაციების ხელის შესაწყობად. ამოძრავება შეეხება მხოლოდ ქალაქებსა და მის მცხოვრებლებს. აქამდის კარჩაკეტილმა არისტოკრატიამ, მოხელეობამ და ინტელიგენციამ, დაინახა ცხოვრების შავი საფრთხე, რაიცა თანდათანობით საშინელს სახესა ღებულობს, და სანსლავს აქამდის ხელსაყრელად საშოვარ საგნებს, სიძვირე ბატონდება, რასაც მათი შემოსავალი აღარა ჰყოფნის, ამიტომ სცდილობენ, რომ ეს გაჭირვება თვით აიცილონ თავიდან და ააცილონ იმ ღარიბ ხალხსაც, ვინც ამავე ქალაქებში სცხოვრობს. მაგრამ სოფლები? ეს უმრავლესი ნაწილი სახელმწიფოისა დაცალიერდა, მშრომელი ხალხი ომში გალალეს, და სახლებში დარჩენ მცირე წლოვანნი და ბერიკაცები, რომელთაც შრომა აღარ შეუძლიანთ.

მოგეხსენებათ, საქართველო მეურნეობის ქვეყანაა, მაგრამ მამაპაპურ წესზედ დაყენებული მეურნეობა იმდენს ვერ აძლევს სოფლის გლეხს წლიდამწლამდის თავი შეინახოს ასე, რომ სახელით მეურნეა და ამავე დროს კი ქალაქში მცხოვრებივით მუდამ სოფლის მედუქნეებისა და ჩარჩების სასწორის შემყურეა. სოფლის მცხოვრებნი, ცხოვრების საჭირო საგნებთან ყიდულობენ საარსებო პურსაც თბილისის საშუალებით გადაზიდულ ფქვილს. წლითი-წლამდის გუთნის შემყურე ხალხი, თვის ნაშრომს იმდენსაც ვერა რჩება, პურის მხრივ მაინც უზრუნველი იყოს, და აბა ამ ომიანობის დროს რა ყოფაში იქნება მათი ცხოვრების პირობები? მაგალითად: მთელს საქართველოში, პურის მოსავლის მხრით განთქმულ ქიზიყს, წარსულ წელს შემოდგომის ნახნავებიდან მუჭაზედ დაყრა არც ერთს სოფელს არ მოსვლია. ბოდბურ კალოებზეო. (აგვისტოში) ერთმა მეოჯახემ მითხრა: რადგანაც მრცხვენოდა მეზობლებისა, მოსამკალი როგორ გაუშვაო, ამიტომ ცამეტის-დღის ნახნავი მოვმკე, მოვიტანე გავლეწე და შვიდი ლიტრა პური დამიდგაო. მეორემ მითხრა: ხუთი დღის ყანა გავლეწე სამი ლიტრა პური დამიდგაო. ესევე მითხრა სოფ. ბოდბისხევში ქიტა ცამუტაშვილმა: ცხრა დღის გავლეწე და სამი კოდი პური დამიდგაო. ეს უტყუარი მაგალითები საკმარისია დასამტკიცებლად იმისა, რომ ვაჭრების საშუალებით ყოველისფრის მყიდველი სოფლები რა ყოფაში იქნებიან. ცნობილია ისიც, რომ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, ქართლ-კახეთში პურის მოსავალი ან სულ არ მოდის, ან თუ მოდის, ისიც ძალიან მცირე, ორი თვის სამყოფიც არა, და რუსეთიდან მოტანილი ფქვილითა საზრდოობენ, განსაკუთრებით მთელი ქიზიყ-კახეთი, და დღეს კი ომიანობისაგან იმდენი ვაგონებიც არაა, რომ მხოლოდ თბილისის დასაკმაყოფილებელი სანოვაგე შემოვიდეს რკინის გზით,

რატომ არა კითხულობენ სოფლების პირობებს, მათს საშველად რატომ საშუალებას არ გამონახვენ? ხალხს ხომ საყიდელი აქვს. მუდამ ნავთი, მარილი, ფარჩეული, რკინა, გოგირდი შაბიამანი, და ყველა ის, რაც მათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს? თვით ხალხს ხომ არ შეუძლიან შეჰქმნას სოფლებში ეს საგნები, რა საშუალებათ უნდა იშოვონ? აი ეხლაა ჩარჩებისათვის ხელსაყრელი დრო, და უპატრონო უმწეო ხალხზე, ძველებურზედ უარეს მევახშეობას განამტკიცებენ, ასე რომ ხალხი თავის სიცოცხლეში ველარ ეღირსება ვაჭრის კლანჭებიდან თავის დაღწევას.

გავითვალისწინოთ ეს მდგომარე გაზაფხული და მომავალი ზაფხული, რა ეშველება იმ დასამუშავებელ ნახნავნათესს, მევენახეობას, რომელსაც სრული რიცხვი მუშა ხელიც ვერ ასდიოდა და მკის დროს 2 მ. ხდებოდა მუშის ხელფასი? დღეს ყველა ამ აღურაცხველ სამუშაოს ვინ დაამუშავებს? რუსეთში ხვნა, თესვა, მკა და თიბვა, დედაკაცების სამუშაოთაა გადაქცეული, უღელი ხარით ან ორი ცხენით თავისუფლადა ხნავენ, ასე რომ წელსაც ამ მხრივ რუსეთის ქალები უკაცობას ბევრათ არ შეიმჩნევენ. მაგრამ საქართველოში? აქაური ქალი მუშაობს ვენახში: სწამლავს, ფურჩქნის, ახვევს; კაცის დაუხმარებლად ლეწავს მოტანილ ძნას კალოზედ, უვლის ოჯახს, აკეთებს ბოსტანს, და ყველა ეს სამუშაო ისეთი დიდია, რომ თუ ეს შესძლო, დიდი მადლობის ღირსიც იქნება. მაგრამ ის სამუშაო რაიცა ქალის ფიზიკურ ძალას აღემატება, იმას რაღა ეშველება? მაგალითად: ვენახების ბარვას, რომელსაც მრავალ რიცხოვანი მუშა-ვერ ასწრობს თავის დრომდის და განა ერთს ან ორ ქალს შეუძლიანთ ესა? განსაკუთრებით კახეთქიზიყში, სადაც ყოველ მეოჯახეს შესანიშნავი სიფართოვის ვენახები აქვთ გაშენებული. სარის მოტანა ვენახისათვის ქალს შეუძლიან? ამ გაზაფხულის ხვნა ხუთ-ექვს უღელა ხარით შორეულ მინდვრებში: შირაქში, უკანა მხარში, ალაზნის ველზედ, გარეთკახეთის ივრის გაღმა მამულებში, სადაც სიშორისაგან ურმით, დღე და ღამე მხოლოდ მგზავრობას უნდებიან? ახლა ავიღოთ, ზაფხულში ყანების მომკა, თივის გათიბვა და ყველა ამების მოზიდვა ამავე შორი მანძილიდან, თუნდ ახლოც იყოს. ძველებურად უვიცად დაყენებული ამ დარგის მუშაობა, ისეთს სიძნელეს წარმოადგენს, რომ მამაკაცის ფიზიკური ძალაც დიდის გაჭირვებით ასრულებს, და ქალი, შეუჩვეველი, ამას შეიძლებს? თამბაქ[illegible] ს დამუშავება ქიზიყში და ლაგოდახის რაიონში, (უდაბურ ტყეებში) სადაც მილიონობით ფუთი თამბაქო მოდის, და რომელსაც დესეტინა თამბაქოს დამუშავებას შვიდ თვეში ყოველ დღიურად ხუთი კაცი მაინც სჭირდება, რომელნიც დღე და ღამე დაუსვენებლადა მუშაობენ, ქალი შეიძლებს? შინაური საქონლის მოვლა, რაისაც მწყემსი დღე და ღამ ჯოხზედ დაყუდებული დასდევს ტყესა და მინდორში 40—60 ვერსტიან სიშორეზედ, რა ჰქნას აქ ქალმა? განსაკუთრებით ცხვრის მოვლა, რომლის ყარაულობას ზომა არა აქვს, ათასნაირი თავზედ ხელაღებულთაგან დაცემის მომლოდინე პატრონი დღე და ღამ შეიარაღებული თავს უნდა ედგას მუხლ-ჩაუხრელად როგორც სიცხეში, აგრეთვე თავსხმა წვიმაში, თოვლ-ჭყაპსა და ყინვაში. დღევანდელი სოფლის ჭირი აღურაცხელია. აქ ჩამოთვლილს გარდა მრავალი კიდევ სხვაც ბევრია, რაიც ყოვლად შეუძლებელია ქალის ხელით გაკეთდეს. მაშასადამე, ყველა ეს სოფლის საქმეები უნდა შესრულდეს იმ სახლში დარჩენილ მცირეწლოვან ბავშვებისაგან, და საქმისათვის უვარგისად ცნობილ ბერიკაცებისაგან. ხსენებული პირებიც დღევანდელი მდგომარეობითა სარგებლობენ და ყოვლად შეუწყნარებელ ხელფასს იღებენ იმ დროს, როდესაც ამათთანა ხუთ კაცს, ერთი ჯანღონით სავსე მუშის ტოლას გაკეთებაც არ შეუძლიანთ. წარსულ ზამთარს საუკეთესო მუშა დღეში 70—80 კ. იღებდა, წელს კი 12—14 წლის ბავშვები თვეში 30—35 მ. და მეტსაც იღებდნენ თამბაქოს პლანტაციებში, აგრეთვე შინაურ სხვა და სხვა სამუშაოზედაც. ხოლო ბერიკაცები, რომელნიც წინად არავის მიჰყვანდა სამუშაოდ, წელს ზამთარში დღეში 1 მ. 20 კ.—1 მ. 40 კ. იღებდნენ, პურსაც საქმის პატრონი აჭმევდათ, ასე რომ ქალის ამარა ოჯახს ეს მუშები დღეში 1 მ. 80 უჯდებოდა, მაგრამ საქმეს კი აკეთებდნენ?...

ეხლა ვიკითხოთ, ზაფხულში რა მოხდება, როდესაც ამოდენა ნახნავები თავის დღეში არა ყოფილა? ამას ვამბობ იმიტომ, რომ წლევანდელი ხელშეწყობილი ამინდისაგან, ენკენისთვიდან შებმული გუთნებით მთელს ზამთარს გამუდმებითა ხნავდნენ, ერთი მეორის დახმარებით, აღურაცხველი ნახნავებით გაავსეს მინდვრები, ჯეჯილსაც ჯერ-ჯერობით სახარბიელო პირი უჩანს. მკის დროს ეს მოსავალი დიდძალ მუშა ხელს მოითხოვს, და სახლში დარჩენილი ეს ნაგერალა მუშა ხალხი ამოდენა საქმის დამუშავებას შეიძლებს? ესენი მხოლოდ ერთს ხუთად ხელ-ფასს მოითხოვენ გაჭირვებულთაგან, და რასაც ვერ გააკეთებენ, ყველა ის უნდა წახდეს, დაიღუპოს უპატრონოთ.

აი სადა სძინავს ქართველი ხალხის გაჭირვების ზღვას, რაზედაც ან განგებ არავინ იღებს ხმას, და ან არა სურთ თავი შეიწუხონ. ვგონებ უფრო იმიტომა სდუმან, რომ ხედავენ უძლურნი არიან ამ გაჭირვების ასაცილებლად. მე მგონია, ზემოხსენებული სოფლების გაჭირვება, რომ ცოტათი მაინც შემსუბუქდეს, ამის საშუალების გამონახვა შეიძლება: ქართველმა გავლენიანმა ხალხმა, რომ გამოიდვას თავი, შეიმუშაოს გეგმა, მომრიგებელ შუამავლებისაგან მოითხოვონ ცნობები რომელ მხარეზედ, ან რომელ სოფლებში რამდენი მუშა იქნება საჭირო. (მაგალითად, სიღნაღის ტუსაღებზედ სოფლებში ცილაობა აქვთ სამუშაოზედ წასაყვანად. ამ ცნობებს სიხარულით მიეგებებიან განსაკუთრებით კახეთ-ქიზიყში). ამ ცნობების მოკრეფის კვალობაზედ შეიძლება მოსძებნონ კავკასიაში და რუსეთში ისეთი ელემენტები, რომელნიც მოისურვებენ ამ შრომის გაწევას. იქნება მთავრობამ ნება დართოს კიდეც ტყვეებსაც, რომელი მათგანიც მოისურვებს, ეს სამუშაო იკისრონ. ყველა ჰამ გარემოებას თუ ყურადღება არ მიაქციეს და არ მოაწყეს დროზე, სოფელი დიდსა და აუნაზღაურებელ ზარალს ნახავს...

*ი. ო—შვილი.*

# მომაკვდავი ყვავილი.

(თარგმანი)

ნაზი, ლამაზი ყვავილი
ბროლის ვაზაში ჰკვდებოდა,
ბრჭყვიალა ნამი ვით ცრემლი
დამჭრალ ფოთლებზედ ჰკრთებოდა.

— —

მომაკვდავს ესიზმრებოდა
ბაღში ჩხრიალა რუს წყალი,
მშობელი ტოტი ვარდისა,
ზედ მოჟღურტულე მერცხალი.

— —

ჰკვდებოდა მტრისა ვაზაში
ნაზი, ხუჭუჭა ყვავილი...
ტიალ ბაღნარში ისმოდა
მხოლოდ ლა ყორანთ ჩხავილი.

*დ. ასკანელი.*

## ბ. ოლივერ უორდროპის-მიერ გამოგზავნილი სამძიმრის წერილი.

ჩვენი ერის ერთგულ მეგობარს ბატონ ოლივერ უორდროპს, რომელიც ამ ჟამად ნორვეგიაში იმყოფება დიდი ბრიტანიის (ინგლისის) კონსულათ შემდეგი წერილი მიუწერია ლონდონში მყოფ ბ. დავით ღამბაშიძისათვის, რომელსაც მისთვის უცნობებია ჩვენი საყვარელი აკაკის სიკვდილი:

„თქვენი ცნობა აკაკის გარდაცვალების შესახებ საშინლად მაღონებს. აკაკის სახელი მუდმივ ძვირფასი იქნება ქართველებისათვის. მათთან ერთად მეც ვიზიარებ ამ დრმა ეროვნულ უბედურებას და ჩემს ხსოვნაში აკაკი უოველთვის აღნიშნული იქნება როგორც უშესანიშნავესი ადამიანი, რომელიც კი ჩემს ცხოვრებაში შემხვედრია“.

## რამ აალაპარაკა ზოგიერთები ბ. სარგის კაკაბაძის წინააღმდეგ?

რადგანაც ბ. სარგის კაკაბაძის რეფერატმა—ქართულ ეთნარქების სქემის წარმოშობის დროს შესახებ-რუსულად წაკითხულმა თბ. საქალებო უმაღლეს კურსებთან არსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებაზე 17 მარტს, გამოიწვია ჩვენს პრესასა და საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოვიყვანოთ ჩვენი გამოცემის ფურცლებზე ხსენებულ მოხსენების მოკლე შინაარსი.

— —

„ქართლის ცხოვრების“ სიტყვით როგორც ქართველები, ისე სომხები, აგრეთვე კავკასიის უმთავრესი ისტორიული ერები წარმოსდგენენ თარგამოსისაგან, რომელიც იყო ძის-ძისძე იაფეტისა, ნოეს ძისა. თარგამოსს ჰყავდა 8 შვილი. უფროსი იყო ჰაოსი, მეორე ქართლოსი, შემდევ ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი. ჰაოსისაგან წარმოსდგენენ სომხები, ქართლოსისაგან ქართველები, ლეკოსისაგან ლეკები, ეგროსისაგან მეგრელები და სხვა. მამამ თავის შვილებს გაუყო სამფლობელო [illegible] ნაირად: უფროსს ჰაოსს მისცა [illegible] რი თვისი სამფლობელოსი და ისიც უკეთესი ნაწილი, ხოლო დანარჩენ შვიდ შვილს მეორე უფრო მდარე ნახევარი. ყველა ძმები გმირები იყვნენ, მაგრამ ყველაზედ უფრო გმირი იყო ჰაოსი, რომელსაც ემორჩილებოდნენ დანარჩენი ძმები. ქართლოსს, ქართველების წინაპარს, იმავე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ჰყავდა ხუთი შვილი. უფროსი მცხეთოსი არის დამაარსებელი მცხეთისა, გარდაბოსი ეპონიმი გარდაბანისა, სხვა შვილების სახელები იყო კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი (კახეთისა, კუხეთისა და გაჩიანის ეპონიმები). უფროსს შვილს მცხეთოსს ჰყავდა სამი შვილი: უფლოს, დამაარსებელი უფლისციხისა, ოძრხოს და ჯავახოს. ასეთია ის სქემა ეთნარქებისა და ეპონიმებისა, რომელსაც შეიცავს ჩვენი მატიანე „ქართლის ცხოვრება“. მომხსენებლის აზრით, რომელიც მას აქვს გამოთქმული თავის შრომაში—О древне-груз. лѣтописцахъ XI вѣка, —ძველი ქართული მატიანე გაყოფილია ორ ნაწილად. პირველი ნაწილი, რომელსაც სათაურად აქვს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, შეეხება ქართველი ერის ისტორიას უძველესს დროიდან ვახტანგ გორგასალამდის. ეს შრომა ეკუთვნის—ბ. კაკაბაძის აზრით—ისტორიკოსს ლეონტი მროველს, რომელიც ცხოვრობდა არა უადრეს მეთერთმეტე საუკუნის მესამე მეოთხედისა და, მაშასადამე, დაახლოვებით თანამედროვე იყო მეფის დავით აღმაშენებლისა. მეორე ნაწილი მატიანისა, სათაურით „ცხოვრება ვახტანგ გორგასალის მშობელთა და თვით ამ მეფისა“, წარმოადგენს ისტორიას ვახტანგ გორგასალისაგან დაწყებული მეთერთმეტე საუკუნის ნახევრამდის. მეთერთმეტე საუკუნის მესამე მეოთხედში ბ. კაკაბაძის აზრით ცხოვრობდა ამ თხზულების ავტორი ისტორიკოსი ჯუანშერი. ეთნარქებისა და ეპონიმების ციკლი მოთავსებულია ლეონტი მროველის თხზულებაში, მაგრამ შეიძლება თუ არა აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ეს ციკლი შედგენილია მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს, როდესაც ცხოვრობდა ლეონტი მროველი? ბ. კაკაბაძის აზრით ეს შეუძლებელია და თვით ციკლი უნდა იყოს შედგენილი ბევრად უფრო ადრე, და შემდეგ ლეონტი მროველის მიერ შეტანილი თავის თხზულებაში, და აი რატომ. სქემა ეპონიმებისა ეჭვს გარეშეა უცნობ ავტორის დროინდელ პოლიტიკურ შემეცნებათა კვალს შეიცავს. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა, თუ მართლა ეს სქემა ლეონტი მროველს ეკუთვნის, რატომ სქემაში არა ვხედავთ ეპონიმს ქალაქ თბილისისას, რომელიც ამ დროს უკვე ქართველებისათვის დიდ მიმზიდველობით ძალას წარმოადგენდა, თუმცა ჯერ კიდევ მაჰმადიანებს ეჭირათ (თბილისი დაიპყრო დავით აღმაშენებელმა). სქემამ აგრეთვე სრულებით არ იცის ეპონიმი ქალაქ ქუთაისისა, რომელიც იყო სატახტო რეზიდენცია აფხაზთა მეფეებისა, იმ აფხაზთა მეფეებისა, რომელთაც სამეფო ტახტის ბაგრატიონების ხელში ჩაგდების შემდეგ მოახერხეს მთელი საქართველოს გაერთიანება თავის მბრძანებლობის ქვეშ. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც აფხაზთა ეთნარქს იცნობს „ქართლის ცხოვრება“ და არც იმ ქალაქ არტანუჯის ეპონიმს, რომელიც მეცხრე და მეათე საუკუნეში იყო რეზიდენცია ქართველ მეფეებისა (ტაო-კლარჯეთ ბატონების ბაგრატიონებისა). ეს გარემოება უნდა გვიჩვენებდეს, რომ სქემის შემდგენელს არ შეეძლო ეცხოვრა არც მეთერთმეტე, არც მეათე და არც მეცხრე საუკუნეში. ამასვე უნდა გვიჩვენებდეს სქემაში ჰაოსის, სომეხთა წინაპრის, წინ წამოყენება. შეუძლებელია მე-X-XI საუკუნეში რომელიმე ქართველ მეცნიერს ამგვარი უპირატესობა სომეხთა ეთნარქისა მიეღო თავისს სქემაში, რადგან ამ დროს პოლიტიკურად სომეხნი ფრიად სუსტ როლს ასრულებდენ, მაშინ როდესაც ქართველი ერი კულტურულადაც ძლიერი იყო თვისი ეროვნული შემეცნებით და პოლიტიკურადაც ჰეგემონიას ამიერ-კავკასიაში თანდათან იმკვიდრებდა. სქემა შედგენილი უნდა იყოს ბევრად უფრო ადრინდელ დროს სახელდობრ იმ დროს, როდესაც ქართული კულტურის კავშირი სომხურ კულტურასთან უფრო თვალსაჩინო იყო. თუ მივიღებთ მხედველობაში,

რომ მეშვიდე საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ქართველების ეკლესია მოსწყდა სომეხთა ეკლესიას, ქართველ სომეხთა ურთიერთობა თანდათან გამწვავდა და სომხური კულტურის გავლენა ჩვენში თანდათან დაეცა, ხოლო შემდეგ სრულიადაც მოისპო, ამიტომ სქემა შედგენილი უნდა იყოს ამ დროზე არც თუ ფრიად დაშორებულ ხანაში. ამასთანავე სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ მეშვიდე საუკუნის პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენში საოცრად უდგება ეთნარქების სქემას. ლაზების სამეფო უკვე არ არსებობდა. ლაზების სამეფო დაეცა დაახლოვებით 600 წლის ახლოს და, სხვათა შორის, ბ. კაკაბაძის აზრით ის გარემოება, რომ სქემის ავტორი არც ლაზებს იცნობს, ამტკიცებს სქემის წარმოშობას შემდეგ მეექვსე საუკუნისა. აფხაზეთის სამეფო მეშვიდე საუკუნეში ჯერ კიდევ არ არსებობდა, ყოველს შემთხვევაში ისეთს ძალას არ წარმოადგენდა, როგორც შემდეგ საუკუნეებში. მეშვიდე საუკუნეში შედგენილი უსახელო გეოგრაფია ყოფილ ლაზების სამეფოს ტერიტორიას და მომავალ (მერვე—მეათე) საუკუნის აფხაზთა სამეფოს ქვეყანას უწოდებს ეგრისს. მართლაც, სქემის ავტორმა იცის თარგამოსის შვილი ეგროსი, რომელსაც წილად ეგრისი შეხვდა (ახლანდელი დასავლეთი საქართველო). ქართლოსის უფროსი შვილია მცხეთოსი, რომელიც დამაარსებელია მცხეთისა, ქართველ ერის სარწმუნოებრივ ცენტრის. მცხეთოსის უფროსი შვილია უფლოსი, დამაარსებელი უფლისციხისა. ეს გარემოება, ბ. კაკაბაძის აზრით, გვიჩვენებს, რომ სქემის შედგენის დროს უფლისციხე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მართლაც „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილია, რომ უფლისციხე იყო რეზიდენცია ქართლის ხელმწიფეებისა, რომელნიც მაშინ ერისთვებათ იწოდებოდნენ, მეცხრე და მეათე საუკუნეში, საგულისხმოა, რომ უფლისციხე ადრინდელ დროსაც თვალსაჩინო პოლიტიკურ როლს ასრულებდა ქართლის ისტორიაში. სქემის შედგენის დასათარიღებლად საინტერესოა კიდევ ის გარემოება, რომ ყველა ეპონიმებს დაბოლოება აქვს ბერძნული (ოს), მაგალ., ჰაოს, ქართლოს და სხ., რაიც გვიჩვენებს ბერძნულ გავლენას. ს. კაკაბაძის აზრით, სქემის შემდგენელმა ავტორმა, თუმცა კარგად იცოდა სომხურ კულტურის ძალა ძველი ქართულ ეროვნულ პოლიტიკურის კულტურის წარმოშობის პირველ საფეხურებზე, მაგრამ უკვე იმ დროს ცხოვრობდა, როდესაც ბერძნული გავლენა ჩვენში თავს იჩენდა. ეს იყო მეშვიდე საუკუნეში, სომხებთან ეკლესიურ კავშირის გაწყვეტის შემდეგ. ბერძნულ გავლენის გაძლიერებას ჩვენში მეშვიდე საუკუნეში გვიჩვენებს, სხვათა შორის, ქართველ ხელმწიფეების ბიზანტიური ტიტულატურა—იპატოსი, პატრიკოსი,— რომელიც ამ დროს ჩნდება. ამ უმთავრეს და ზოგი კიდევ სხვა წვრილ მოსაზრებათა გამო ს. კაკაბაძის აზრით სქემა შედგენილია მეშვიდე საუკუნეში. რადგან ამასთანავე სქემის მიხედვით გარდაბანელნი გაქართველებულად სჩანან (გარდაბოსი არის შვილი ქართლოსისა), ხოლო ცნობილია, რომ გარდაბანელნი ალბანელთა მონათესავე იყვნენ, ამიტომ სქემის შედგენა უფრო მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე პირველ ნახევარს, რადგან გარდაბანელების სწრაფი გაქართველება დაიწყო მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევრიდან, როდესაც მათ მართლ-მადიდებლობა მიიღეს და სარწმუნოების მხრივ, ქართველებს დაუკავშირდენ. ამგვარად, თუმცა ბ. კაკაბაძის აზრით მროველის მატიანე შედგენილია მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს, მაგრამ სქემა ეთნარქებისა შემუშავებულია უფრო ადრე, სახელდობრ დაახლოვებით მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევარში.

## ახალი ამბავი.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო აკაკის სახელობაზე დაარსებულ ზეპირსიტყვაობის ფონდის სასარგებლოდ გადადებული 40 მან. წერა-კითხვის საზოგადოების ზესტაფონის განყოფილებისაგან.

✦ გაზ. „თემი“ ტყიბულის უფასო სამკითხველოს გამოუწერა თავის ხარჯით ქრისტეფორე (ფოლიკო) ანდრეადიმ.

✦ ამერიკის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ფილადელფიაში 21 მარტს გარდაიცვალა ფრედერიკ ტაილორი, რომლის სახელით მონათლეს მის მიერ გამოგონილი მეცნიერული სისტემა სამრეწველო საქმების მართვისა. როგორც ვუწყით ამ სისტემით მუშაობა წარმოებაში გამარტივებულია, მისი საფასი შემცირებული, ხოლო ნაყოფის გამოღება კი დიდია. ეს სისტემა საშინლად ჰბოჭავს მუშებს და ჰფიტავს მათ ძალას. ამის გამო მუშები დიდის სიძულვილით უყურებენ ამ სისტემას. ფრ. ტაილორი ხელობით სამოქალაქო ინჟენერი იყო და ცნობილი აგრეთვე როგორც საბეტონო საქმის კარგი მცოდნე. ხნოვანებით 60 წლისა იყო.

✦ კიევში 1 აპრილს გულის ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა ცნობილი მოღვაწე და მწერალი ხალხოსნური მიმართულებისა („ნაროდნიკულისა“) იაკობ ვისილის-ძე სტეფანოვიჩი რომელიც დასჯილი იყო ეგრედ წოდებულ ჩიგირინის პროცესის დროს. სიკვდილის წინა დღეს მან დასტოვა შემდეგი ბარათი: „ვათავებ ჩემს არსებობას მრავალ წლის ავადმყოფობის შემდეგ. ძალიან ვსწუხვარ, რომ ვერა ვნახავ, თუ რით გათავდება ახლანდელი ომი. მსურს კი რომ აღსრულებულიყოს საუკეთესო იმედები. უკანასკნელი სალამი—როგორც ჩემს ნათესავებს, რომელთაც ვუყვარდი, ისე კეთილ ჩემს ნაცნობებსა და ამხანაგებს, განსაკუთრებით კი ერთგულ მეგობარს—ვერა ზასულიჩს: არ გაგიძნელდეს შენი უკანასკნელი წუთები“.

✦ ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე სტახოვიჩი გულის სიგანივრისაგან გარდაიცვალა 5 აპრილს თავის მამულში „ნადეჟდინოში“ რიაზანის გუბერნიაში. ერთ დროს მსახურობდა ჰუსართა პოლკში, შტაბს-როტმისტრის ჩინის მიღების შემდეგ დაანება თავი სამხედრო სამსახურს შემდეგ დაიწყო საზოგადო მოღვაწეობა. მიმართულებით კადეტი იყო; როგორც ამ პარტიის წევრი იყო არჩეული მეორე სათათბიროში დეპუტატათ ორიოლის გუბერნიიდან. მან ბოროტ-მოქმედება გამოამჟღავნა ცნობილ გურკო-ლიდვალის სამრეწველო საქმეში.

✦ ქართულ სამეურნეო საზოგადოებაში ბაღოსნობის სკოლის გამგემ პ. გ. მელიამ აღძრა საკითხი გორის მაზრაში ბოსტნეულობის გახმობის კურსების მოწყობის შესახებ.

✦ ოთხშაბათს 15 აპრილს ქართველ მსახიობთა ამხანაგობა სახალხო სახლში წარმოადგენს სოფოკლეს დიდებულ ანტიკურ ტრაგედიას: „ედიპემეფეს“, ედიპეს—ითამაშებს ალ. იმედაშვილი, კრეონს—ი. ზარდალიშვილი იოკასტეს—ან. ქიქოძისა.

გარდაცვალებულ თბ. პირველ სავაჟო გიმნაზიის დირექტორის ლეონარდ ზუბალაშვილის ადგილზე ნიშნავენ მეხუთე ავლაბრის გიმნაზიის დირექტორს ბ. იაკობ სოლომონის-ძე ღულაძეს.

✦ 19 აპრილს გორში მოხდება ამ მაზრის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება, რომელიც განიხილავს ის საკითხებს, რომელიც წარდგენილია საგუბერნიო კრების განსახილველად. ამ კრებაზე ბაასი იქნება აგრეთვე თავად-აზნაურობის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ ამ ომიანობის დროს.

✦ ასტრახანში მყოფ სათათბიროს დეპუტატს ჰოლა ლომთათიძეს ნება დართეს კავკასიაში დაბრუნდეს. იგი ავად არის ამ ჟამად.

✦ ლეონ ტოლსტოის შვილიშვილმა მიხეილ ილიას-ძე ტოლსტოიმ ხელმეორედ სცადა გამოქცევა ტყვეობიდან (ავსტრიაში იყო) მასთან ერთად გამოიქცა თავ. იაშვილიც.

✦ თბ. თავად-აზნაურობის მომავალ კრებაზე უნდა განიხილონ პროექტი საბანკო მოგების განაწილებისა სხვა და სხვა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; აგრეთვე საკითხები ღვინის ფალსიფიკაციის, კახ. რკინის გზის, ფილოქსერის და სხვ. უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევნები სათავადაზნაურო სხვა და სხვა თანამდებობის პირთა. ზოგი იმ აზრისაა, რომ ომის გამო ეს არჩევნები უნდა გადაიდოს; ზოგი კი იმის მომხრეა, რომ არჩევნები ეხლა მოხდეს.

## დაცინვაც ასეთი უნდა!

„სოლნცე როსსიის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია შემდეგი მინიატურა ნ. შებუევისა სათაურით „ვინა ხარ?“.

**იტალიელი ამბობს:**

— მიჩვენე შენი მეგობრები და გეტყვი, ვინა ხარ.

**ესპანელი ამბობს:**

— მიჩვენე ჩენი მტრები და გეტყვი, ვინა ხარ.

**გერმანელი ამბობს:**

— მიჩვენე შენი წიგნები და გეტყვი ვინა ხარ.

**ფრანგი ამბობს:**

— მიჩვენე შენი შვილები და გეტყვი, ვინა ხარ.

**ინგლისელი ამბობს:**

— მიჩვენე შენი სახლი და გეტყვი, ვინა ხარ.

**ამერიკელი ამბობს:**

— მიჩვენე შენი მიმდინარე ანგარიში და გეტყვი, ვინა ხარ.

**პორტუგალელი ამბობს:**

— მიჩვენე შენი საყვარლები და გეტყვი, ვინა ხარ.

მაგრამ ყველაზე უკეთესად **რუსი** ამბობს:

— მიჩვენე შენი პასპორტი და გეტყვი, ვინა ხარ.

## მადლობის გამოცხადება.

წერილები რედაქციის მიმართ

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ზესტაფონის განყოფილება უღრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, რომელთაც აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად თავიანთი წვლილი გაიღეს. შეგროვილი ფული 202 მ. 80 კ. გამგეობამ ამგვარად გაანაწილა: 40 მ.—აკაკის ფონდის სასარგებლოდ, 162 მ. 80 კ. დ. ზესტაფონს აკაკის სახალხო სახლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომწირველთა სიას ვერ ვბეჭდავთ იმის გამო, რომ ზოგიერთი პირის ხელ-მოწერილი ისეთი გაურკვეველია, რომ მათი სახელისა და გვარის გარჩევა შეუძლებელია, რის დასამტკიცებლად გიგზავნით ერთს ფურცელს შემომწირველთა სიისას. 40 მ. შედის 15 მანეთი, რომელიც ქვარცხის ქალებმა გვირგვინისათვის შეაგროვეს.

ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზ. ზესტაფონის განყოფილების გამგეობა.

— —

ხსენებული სია ჩვენ მივიღეთ. მართლაც ზოგიერთი ხელის-მოწერის გარჩევა ძნელია. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ სიაზე, რომელსაც ქართული წარწერა აქვს „შემოწირულება აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად“, 14-ს ქართველ შემომწირველს რუსულად მოუწერია თავის სახელი და გვარი. კარგია კიდევ მთლად არ დაჰკარგვიათ შეგნება, რომ დაუნახავთ საჭიროდ ქართულ საქმისათვის შეეწირათ ფული. წერილს, ჩვენი რედაქციის მიმართ მოწერილს, ხელს აწერს „გამგეობა“, მაგრამ სახელსა და გვარს არავინ აწერს, არც თავმჯდომარე, არც მდივანი, არც წევრები. ამ წერილს ახლა ვბეჭდავთ, მაგრამ შემდეგში, სასურველია, გამგეობამ ასეთი უსახელო წერილები არსად გაჰგზავნოს ხოლმე, რადგანაც ყურადღებას არ მიაქცევენ. **რედ.**

— —

ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „თემის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც გადაიხადეს ტყიბულის უფასო ბიბლიოთეკის საწევრო ფული 1914 წლის ორ-ორი მანეთი: ილარიონ მიქიაშვილს, პლატონ ბოჭორიშვილს, ფირან ბოჭორიშვილს, კოტე კაველაშვილს, არტემ მკვახაძეს, ნესტორ ტარანჯაძეს, ივლიტა არხიპოვისას. მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ერთ-დროული დახმარება გაუწიეს სამკითხველოს: ვალენტინა ფოფხაძისას (შემოსწირა წიგნები—8 მან. 35 კაპ.) სამსონ კიკაჩეიშვილს (შემოსწირა წიგნები 2 მან. 25 კ.) მიხ. ბოჭორიშვილს (შემოსწირა წიგნი 60 კ.) სილოვან ბოჭორიშვილს (შემოსწირა ფული 50 კ.)

დანარჩენ წევრებს ვსთხოვთ უმორჩილესად შემოიტანონ საწევრო ფული.

ტყიბულის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობის მდივანი ქრისტეფორე ანდრეადი.

## ქართველი თავადის ასული-ჯარისკაცი.

გაზ. „უტრო როსიიში“ ვკითხულობთ ა. შესტაკოვის-მიერ მოთხრობილს შემდეგ საინტერესო ამბავს:

„ვარშავაში მათ ყველანი ყურადღებას აქცევდენ: პორუჩიკ ყავარჯნებით და მასთან ერთად სულ ახალგაზრდა ჯარისკაცს, რომელსაც წმ. გიორგის ჯვარი ჰქონდა და ხელიც შეხვეული.

„ყველას თვალში ეცემოდა ჯარისკაცის ქალური სახე დიდრონ შავი თვალებით და ღია ვარდის-ფერით.

„მე მიამბეს მათი ისტორია, რომელიც ისე ჰგავს რომანიულ გამოგონებას, რომ არც კი მჯეროდა.

„ყმაწვილი კაცი—სტუდენტ-ტეხნიკოსია, ომში წასულა მოხალისეთ. მოსკოვიდან ვარშავასაკენ წამოსვლის დროს მატარებელში გაუცვნია ლამაზი ქალი ძველ თავადურ ქართველ ოჯახიდან. ქალი ვარშავას მიდიოდა რაღაც საკუთარ საქმეზე და ომზე არც კი ჰფიქრობდა.

„მოხდა ისე, რომ ახალგაზრდა ქალვაჟმა ერთმანეთი შეიყვარეს, ვარშავაში მოსვლისას პირდაპირ მატარებლიდან წავიდენ ეკლესიაში; ქორწილის შემდეგ კი—მოწინავე პოზიციებზე.

„თავადის ასულმა ჩაიცვა ჯარისკაცის შინელი და გამოსთხოვა პოლკის კომანდირს ნება დაერთო ქმართან ჯარში ყოფილიყო.

„დაიწყო მძიმე ბრძოლები. ლავრენტი, როგორც დაარქვეს თავადის ასულს ჯარისკაცებმა, მხნედ იტანდა სამეომრო ცხოვრების მძიმე პირობებს, მხიარულად და ხალისიანად იყო. გერმანიის ფრონტზე ერთხელ საშინელი ბრძოლა გაჩაღდა. მძიმე „ჩემოდნები“ სკდებოდა ჩვენს თხრილებში, ასობით იფრქვეოდა მეომართა თავებზე შრაპნელი, გერმანელები გიჟებივით მოდიოდენ იერიშით ჩვენს თხრილებზე. მახლობელ როტების ყველა ოფიცრები იყვნენ ზოგი დახოცილი, ზოგიც დაჭრილი. თავადის ასულის ქმარი, რომელსაც პორუჩიკობა ებოძა იმ ხანებში, დარჩა როტის ერთადერთ უფროსათ, ლავრენტი იყო მისი თანმხლებელი. ბრძოლა მწვავდებოდა. აღარ იყო შესაძლებელი მტრის შემაგრება: ყველანი დაიხოცებოდენ; ტყვია-წამალი სცვიოდა მრავლად თხრილებში და ჯარისკაცებს ჰხოცავდა. პორუჩიკმა გაჰგზავნა ჯარისკაცი ბრძანებით, რომ პირველი რიგის თხრილებიდან უკან დაეხიათ ჯარისკაცებს. ჯარისკაცი დაბრუნდა და მოახსენა, რომ არავის არა სურს უკანდახევაო, რადგანაც როტის კომანდირს, დაჭრილს, სიკვდილის დროს ეთქვა: ყველამ უკანასკნელკაცამდის ფეხი არ მოიცვალოთო, ისინიც იმიტომ არ იძვრიანო. მეორე ჯარისკაცმაც, რომელიც ამავე ბრძანებით იყო გაგზავნილი, მოიტანა ასეთივე ლაკონიური პასუხი: ადგილიდან დაძვრა არა სურთო. გერმანელებმა კი ბრძოლაში შემოიყვანეს ახალ-ახალი ჯარი. მათი ზარბაზნები დაუსვენებლივ აფრქვევდენ ყუმბარებს. მიწა ზანზარებდა. პოლკიდან ბრძანება მოვიდა—ჩქარა უკან დაიხიეთო. პორუჩიკს არ შეეძლო ადგილიდან დაძრულიყო და მოწინავენი კი დაეტოვებინა. მიჰმართა ლავრენტის:—წადი, ლიუსი, იმათთან, იქნება მოახერხო უკან დაახევინო.

ლიუსიმ აასრულა ეს ბრძანება: მოწინავე პოზიციებზე ცოცვით მივიდა. იგივე ისტორია განმეორდა. ჯარისკაცებს არა სურდათ მიეტოვებინათ თხრილები. დაღვრემილები, მოღუშულები გაიძახოდენ:—არ წავალთო! კომანდირის სიტყვას არ გადუვალთო.

ტყუილად სცდილობდა ლიუსი დისციპლინაზე მითითებას. ჯიუტობდენ და განაგრძობდენ გერმანელების ხოცვას, რომელნიც სჭარბობდენ მათ და იერიშით მოდიოდენ. განრისხდა ლიუსი და კონდახი დაჰკრა ჯერ ერთს ჯარისკაცს ზურგზე, მერე მეორეს, მესამეს... ამ გარემოებამ გავლენა იქონია. დაიძვრენ ზოგიერთნი, რომელთაც სხვები მოჰყვენ. უკან დახევა მოასწრეს. შემდეგ დაინახეს, როგორ სკდებოდენ თხრილებში ბრიზანტული ყუმბარები. კიდევ 10 წუთს რომ დარჩენილიყვენ, არც ერთი ჯარისკაცთაგანი ცოცხალი არ გადარჩებოდა.

ლიუსი უკან-დახეულ რაზმს მოჰყვა და მოიყვანა გორაკთან. მაგრამ მას აქ უბედურება ელოდა: მისი დაჭრილი ქმარი გაეყვანათ მწყობრიდან. ძლივს იპოვა ის ჰრილობათა შესახვევ პუნქტზე. როცა დარწმუნდა, რომ ჭრილობა საშიში არ იყო, დიდხანს აღარ დაუყვია მასთან: ხელ-ახლა დაბრუნდა ჯარში. მეორე დღეს ესეც დასჭრეს ხელში. ამის შემდეგ ცოლქმარნი წამოიყვანეს ხსენებულ პუნქტიდან და დააწვინეს ერთ ლაზარეთში.

„თავადის ასული მამაცობისათვის და სამხედრო ვალის აღსრულებისათვის წარადგინეს წმ. გიორგის ჯვარზე“.

ღრმად მწუხარენი დედა ბაბილინა, ძმები ეპიფანე, ალექსანდრე, ნიკიფორე, მოსე და დათიკო, დები მარიამ და ელისაბედ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ ძვირფას

შუშანა ბესარიონის ასულის

# იმნაიშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, დ. ლანჩხუთში, შუხუთის ღვთისმშობლის გალავანში.

## მსოფლიო ომის დღიურიდან.

(ნაწყვეტი).

... და მისცურავდა წყნარად ლამაზი სამხედრო გემი ატლანტიურ ოკეანეს გულზე. იალქნებზე ნავი აფრიალებდა რუსეთის ბაირაღს. იგი ვით მშვენიერი თავ-მომწონე მობანავე თამამად მიაპობდა შეუპოვარი მკერდით ტიტანიურ ტალღებს, რომელთა ზვირთნიც ბაქანის მოაჯირს ესტუმრებოდენ შხეფთა ამბორით და შემდეგ-კი —ვით ცით მოწყვეტილნი ვარსკვლავნი დაეშვებოდენ ძირს და უერთდებოდენ დედას.

ის დასაზვერად იყო გამოგზავნილი შეერთებულ ფლოტისაგან და უძნელესი საქმე ჰქონდა დავალებული აღსასრულებლად.

ნისლი გადაჰკვროდა ოკეანეს... ძნელი იყო შემჩნევა მტერთა გემების; და ცალკე შიში მცურავ ნაღმების უკვეცავდა სურვილთა ფრთებს.

მზვერავნი მეზღვაურნი მაღლობებზე ასულიყვნენ და დურბინდებით გასცქეროდენ ჰორიზონტს.

... და მისცურავდა! თუმცა არ ემორჩილებოდა მზობოქრავი, მაგრამ მაინც მისცურავდა.

მეზღვაურთა სიცოცხლით სავსე გამომეტყველება სასიამოვნოდ ეფინებოდა გემის უფროს ლეიტენანტს გულს, რომელიც სიხარულით მალი-მალ აუვლ-ჩაუვლიდა ხოლმე და მათი მხნეობით გამხნევებული მათვე ამხნევებდა. ხან მივიდოდა ერთ რომელიმე მათგანთან და ესაუბრებოდა რომელიმე ჯარზე—განსაკუთრებით კი მეზღვაურთა გაბედულ ცხოვრებაზე – ხან გაჰყურებდა დასავალს და სათანადო ბრძანებას აძლევდა. შემდეგ მივიდა ერთ ზარბაზანთან მდგარ ახალგაზრდა მეზღვაურთან, რომელთანაც უფრო ხშირად იცოდა საუბარი და მეგობრული ქცევა.

— შენ რაღას იტყვი კავკასიის მთების არწივო? – ჩვეულებრივად მხარზე ხელის დადებით შეეკითხა მხიარული უფროსი.

— აბა რა უნდა მოგახსენოთ ბატონო ლეიტენანტო.—მიუგო გიორგიმ ღიმილით.

— ყოჩაღად იყავ! შენ თუმცა ერთი ხარ ჩვენში „გეორგიად“ წოდებულ ქვეყნის შვილი, მაგრამ ყველა ძმები ვართ. მე გაგებული მაქვს, რომ ქართველნი ომში ისე მიდიან, ვით ლხინში.

— თქვენ უკეთ გცოდნიათ ბატონო ლეიტენანტო! არრას დავზოგავ ჩვენი საერთო სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— ეჭვიც კი არ შემპარვია თქვენს მამაცობაში. ამ რამდენიმე წლის წინად ვიყავი თქვენ მხატვრულ მხარეში და გონებიდან განუყრელად დამშთა. მუდამ სანატრელია ჩემთვის იქ სიცოცხლის გატარება. მე კარგად ვიცნობ ქართველთ. თქვენი ისტორია ნათლად ჰმოწმობს ყველაფერს. ივერიელი თავის ვაჟკაცობას არასოდეს არ უღალატებს. ჩვენ კარგად გვახსოვს ნაპოლეონის დროინდელი ორბი—პეტრე ბაგრატიონი.

— გმადლობთ ბატონო ლეიტენანტო ყურადღებისათვის.

უფროსი მოშორდა და ჩაუარა სხვებს... გიორგი-კი იდგა გახარებული, უფროსის ყურადღებით დაჯილდოვებული და ეხვეოდა ქარგად ფიქრთა ქსოვილში:

— ჩემო სამშობლო, გმირთა ქვეყანავ! სადღაც შორს, შორს კავკასიონის მთებში მდებარევ. სად არ გაისმის შენი ქება, შენი დიდება?? ოდეს თვალს ვავლებ მსოფლიოს ყოველ კუთხეს, რა პატარა ხარ შედარებით მათთან, მაგრამ ჩემ გულში-კი უდიდესი ალაგი გიჭირავს.—გულზე ხელები გადიჯვარედინა და დაიწყო ირგვლივ ყურება. მას უნდოდა ენახა კვლავ ის მხარე, სადაც დაიბადა, მაგრამ მის ხელთ არ იყო.

ქარიშხალმა წამოუბერა... ოკეანემ ღელვა იწყო. გემი-კი კვლავ მისცურავდა აფრა-აშლილი.

დასაბამიდან დღევანდლამდის ინთხევა სისხლი ადამიანთა და მათთანვე შენი შვილების, ჰოი, საქართველო! აზიის მრავალი კუთხე მოკირწყლულია შენი შვილთა ძვლებით და ეხლა აპოხიერებ ევროპის ველ-მინდვრებს. ევროპა! შენ გაეშალე სარეცლად სამშობლოს კალთების მაგიერად ჩემ ძმებს. შენ, შენ განათლებულო ქვეყანავ!... მაგრამ ეს შენ არ ძალგიძს. შენ ცივი ხარ, ცივი ვით ყინულოვანი მთები ჩრდილოეთის ოკეანესი. შენ ვერ გაუწევ დარბაისლურ სტუმართ-მოყვარეობას სამხრეთის შვილებს, და ნადირთ ხროვა მეჯლისით მიეგებება მათ გაციებულ გვამს; მაყვალა თვალებს დაუკორტნიან სვავნი მყივარნი და შავ წვირ-ულვაშში, ხუჭუჭა გიშრის თმაში დაიბუდებენ ჭია-ღუანი.

წუთიერმა სასოწარკვეთილებამ გაუქროლა და მოწყვეტილი დაეყრდნო რკინის მოაჯირს მწარე ფიქრებით გარე-მოცული. ყურს უგდებდა ტალღათა ტყლაშუნს და უყურებდა ზვირთების თამაშს.

— ჩემო ქვეყანავ! როგორ იმეტებ გულ-უხვად ამდენ ურიცხვ ზვარაკს შესაწირავად ომიანობის ღმერთის სამსხვერპლოზე?..და, ვინ იცის, დაგიფასებენ?! ოჰ! ნეტა კიდევ მენახა ერთხელ შენი მიდამო ზურმუხტოვანი და კოკით მხარზე ტურფა ასული, გულის საუნჯე ჩემი ეთერი!...

— მტრის გემი!!!—შეჰყვირა მოდარაჯემ. ყველამ თავის ადგილი დაიჭირა უფროსის ბრძანებისამებრ და მისცეს ნიშანი შორს გამოჩენილ გემს, რომელიც დასავლისაკენ მიეჩქარებოდა: „შესდექი და დაგვენებლიო“, იქიდან პასუხის ნაცვლად ყრუ გრგვინვა მოისმა. ეტყობოდა რაღაც სამხედრო ხერხს ხმარობდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ყუმბარამ გემს გადაუარა და გადაეშვა ოკეანის უფსკრულში, მაშინ ლეიტენანტმა გასცა ბრძანება სროლისა.

— გრრუმ! გრრუმ!! ტრრრახ!!— დაიგრიალეს ზარბაზნებმა მტრის გემზე ცეცხლი გაჩნდა. მაგრამ მაინც მირბოდა. გამოუდგა რუსეთის გემიც, მაგრამ მალე უკლო სიარულს, რადგანაც შეამჩნია, რომ ტალღები იპობოდა და მისკენ უჩინრად რაღაცა მოსრიალებდა. გზის აქცევა გვიანღა იყო.

— ბუჰჰჰ!!!—გაისმა საზარელი აფეთქება გემის ცხვირში მოხვედრილ ნაღმისა, რომელიც იყო გამოსროლილი წყალ-ქვეშ მავალ ნავის-მიერ. ეტყობოდა მტრის გემს ახლდა თან. რუსეთის კრეისერი შეტორტმანდა და შესდგა. უფროსმა ვერ მოასწრო ბრძანების გაცემა, რომ ხელ-მეორედ მოისმა აფეთქების ხმა. გემის შენგრეულ ნაწილიდან წყალმა თქრიალით იწყო დენა გემში.

ზარბაზნები-კი გრიალებდენ...

წყალ-ქვეშ მავალი ნავი მიიმალა, მაგრამ ჯავშნოსანი-კი ვეღარ მირბოდა უწინდელის სისწრაფით და ცეცხლწაკიდებული გვერდზე იხრებოდა.

...ეისერზე შესწყდა ზარბაზნების ...ლა, რადგანაც წყლით ივსებოდა და სწრაფლ იძირებოდა. გადარჩენის ...ი ოცნება-ღა იყო. დაჭრილთა ...ამ შეაძრწუნა იქაურობა. სი-...ლის ფერმა გადაჰკრა მეზ-...რთ... უფროსს-კი აღშფოთე-...ი, თავ-ზარ დაცემული მირ-...რბოდა და სცდილობდა ელო-...რამე, მაგრამ ამაოდ. როგორც ...ცდილი კაცი ყველაფერს მიხვდა; ...ა თავის ადგილზე და სასო-წარკვე-...მა გასცა უკანასკნელი ბრძანება:

— ჩემო საყვარელო მეზღვაურნო! ...ა წუთიერად შეჩერდა. — შეუ-...დით ბედს. გმირულს გულ-...მშვიდებით შეხვდით სიკვდილს. ...ჟმარჯოს რუსეთს და მის მოკავ-...ეთ! ურა!..

— ურა!!! — შესძახა ერთხმად ...აკემა. შემდეგ იგალობეს ეროვნუ-...ი ჰიმნი და გამეფდა სიჩუმე. წუთიე-...ად მიეცა ყველა თავის საკუთარ ...ქრს და ზოგმაც ლოცვა—ლაღადი-...ით მუხლთ მოიყარეს და ალაპყრეს ...ები მაღლა. მრავალს აღმოხდა ...ნასკნელი ოხვრა.

— მეგობრებო!—დაარღვია სიჩუმე ...როსმა.—ვისაც რითაც და როგორც ...ეძლოთ უშველეთ თავსა.—ესა ...ქვა და დაეშვა საადმირალო კიბეზე ...ვითრებული.

მეზღვაურებმა ჩაუშვეს ნავები და ...შვნენ თითონაც შიგა გადასარჩენ ...ალ-შემოკრულებმა. თუმცა-კი ძა-...ან უძნელდებოდათ დათმობა იმის, ...თვისაც სიცოცხლეს არ იშურებ-...ნ. სთხოვეს უფროსს თანაშემწემ-მი-...ნმა და სხვებმაც, რომ ეშველნა მა-...ც თავისათვის, მაგრამ ხელი ჩაიქნია ...სთქვა:

— სადაც ჩემი კრეისერი, იქაც ...იყო მოკლე პასუხი. ბევრმა მოი-...ომა მასთან დარჩენა მაგრამ არ ...ერვა.

უხმოდ მოშორდნენ გულ-დაწყვე-...ლი მეზღვაურნი.

...ალღები თანდათან უახლოვდებოდნენ ...ანს... აჰა, უკვე ეამბორნენ კიდეც ...იტენანტის მუხლებს. ლეიტენანტმა ...თქოს ეხლა იგრძნო საშინელება და ... ზეზე ზარ დაცემული. გულს ...მოჰკვნესა, რომ უყურებდა გემის ...ანთქმას შეუბრალებელ გულზვავის ...ერ. გაუმაძღარი ონავრები უკვე შე-...ჰხვეოდენ გარს...

მიიხედ-მოიხედა უფროსმა და რომ ...რავინ შენიშნა ხელ-ქვეითთაგანნი, ...თი საშინლად ამოიგმინა და წარ-...სთქვა მწუხარედ:

— აღარავინ სჩანს... ყველამ მიმა-...ოვა, მარტოდ დავრჩი...—ავიდა სა-...რაჯოზე, ჩამოსწია ბაირაღს, რამდენ-...ერმე ემთხვია მხურვალედ და კვლავ ...წრაფლ ასწია.

— ...დიდო რუსეთო, ჩემო მამუ-...ო! საყვარელო ცოლ-შვილო მშვი-...ობით...

— მაპატიეთ ბატონო ლეიტენან-...ო, მაპატიეთ, რომ არ დავემორჩი-...ე თქვენს უკანასკნელ ბრძანებს. ...თხოვთ მიიღოთ სიცოცხლე ჩემი და ...მცეთ ნება თქვენთან დარჩენის.— ...მოეჭიმა ერთი მეზღვაურთაგანი, უკ-...ა წყლით სავსე სამანქანო განყოფი-...ებიდან ამოსული, რომელიც ჩასუ-...იყო შენგრეულ ნაწილების დასათვა-...იერებლად, მაგრამ ვერ ჩაეღწია იქა-...დის და მსწრაფლვე ამობრუნებუ-...იყო.

— ოჰ, მეგობარო! საყვარელო ადამიანო; დიდო გმირო პატარა სამ-შობლოისა! გმადლობ, გმადლობ თა-ნაგრძნობისათვის.—ეს-ღა უთხრა ლეი-ტენანტმა, გადჰხვია ხელი და ვაჟ-კა-ცურის გამომეტყველებით შეხვდა სიკ-ვდილს...

თუ როგორ იმოქმედა გიორგის მა-...თან დარჩენამ, ძნელი არ-არის ამო-...ცნობა.

...და რა იცი, ჩემო ქვეყანავ, ...უ შენი შვილი ატლანტიურ ოკეანეს ცურავთა ხვედრიც ხდება? ვინ, ვინ ...აიგებს, თუ აქაც-კი ილუპება მრავალ-...ანჯულ ქართველთა ტომის მონაწი-...ე.

გიორგის, ისე ვით სხვათაც სწყუ-...როდა სიცოცხლე და შეეძლო კიდეც ...შველა თავისათვის, მაგრამ ლეიტენა-...ტის სიტყვები კარგად ახსოვდა...

შორს გამოჩნდა შეერთებული ფლო-...ტი მოკავშირეთა.

ოკეანე-კი ნთქავდა მშვენიერ კრეი-...სერს...

ს. ერთაწმინდელი.

# ნახული და გაგონილი

(წერილი სპარსეთიდან)

შუაღამე მოახლოვებული იყო, რო-დესაც ჯულფისაკენ მიმავალი მატარე-ბელი თბილისიდან დაიძრა და მძიმედ, ხვნეშით გაუდგა გზას.

ტვირთი მართლაც მძიმე იყო. უზარ-მაზარი მატარებელი სულ გაჭედილი იყო ხალხით. ვაგონში გავლა აღარ შეიძლებოდა. ბარგით აევსოთ იატაკი, ფიტონები, საპირფარეშო და მგზავ-რებიც ზოგი ბარგზე იჯდა, ზოგიც ფეხზე იდგა.

იმ კუთხეში, სადაც მე დავიკავე ად-გილი, თავი მოიყარა ოთხმა ქალმა რვა ბავშვმა ძუძუმწოვარადან დაწყე-ბულმა და ბარე ოთხმა-ხუთმა მამაკა-ცმა. ადგილი კი მხოლოდ ოთხისთვის იყო. ბავშვებისა და დედაკაცების გა-ჭირება გულს მიუთქავდა. სადაც კი მოხერხდა, გავუმართე ბავშვებს საწო-ლი—ზევით, ქვევით, ბარგზე—და ისე დავაწვინე. ვიდექი და ვდარაჯობდი—ბავშვი არ გადმოვარდეს და არ დასა-ხიჩრდეს მეთქი.

არ მშურდა მათთვის ღამის ტეხა, გარჯა, წვალება. მაგრამ ვისთვის არის საჭირო ამდენი ხალხის შევიწროება? ნუ თუ რკინის გზის მართველობას არ შეუძლია მოუმატოს მატარებელი, მით უფრო, რომ სამხედრო მატარებლების მიმოსვლა ყარსის გზაზე ეხლა არც ისე დიდია?

ვაი-ვაგლახით გავათენეთ. დღემ გა-გვიადვილა მგზავრობა აუტანელ პირობებში.

გზაში ბევრს შევხვდი ნაცნობ ოფი-ცერს. ვკითხე, თუ რა აზრის არიან ისინი? შესაძლებელია თუ არა გან-მეორდეს დეკემბრის ამბავი? მოსალო-დნელია თუ არა ოსმალების მხრით სერიოზული თავდასხმა მეთქი?

ყველა იმედიანად უყურებს მომა-ვალს, სჯერათ, რომ ოსმალეთი უძ-ლურია, თვალსაჩინო მოქმედებას ვერ გამოიჩენს და, ესეც არ აყოს, კავკა-სიის ფრონტი ეხლა კარგად არის და-ცული და დეკემბრის დიდი შეცდომაც თავიდან აცილებ... ...

ცოტა დავმშვიდდი. ვიფიქრე, იქ-ნება ღმერთმა ინებოს და ასცდეს ჩვენს ქვეყანას განადგურება, იქნება არ გა-დაიქცეს იგი ბრძოლის ველად და ჭირზე ჭირი არ მიემატოს-მეთქი.

ჯულფის სადგურზე ერთი ოფიცერი ამბობდა:

— ერთი ხეირიანი შეტევაც ჩვენი მხრით და ოსმალეთის წირვაც გამო-სულია. ამ თვე-ნახევარში ყველაფერი გათავდება ჩვენს ფრონტზეო.

— შენს პირს შაქარი-მეთქი, წა-ვიბუტბუტე და სასოება გამიცხოველ-და. სისხლისა და თოფის წამლის სუ-ნითაა გაჟღენთილი ჰაერი. ადამიანს თავსბრუ გესხმის და გონება გერყევა, როცა ჰფიქრობ, თუ რას უნდა წარ-მოადგენდეს ბრძოლის ველი, სისხლით მორწყული და ადამიანის გვამებით გაპოხიერებული.

გასცქერი ვაგონის ფანჯრიდან მთვა-რის მკრთალი შუქით განათებულ მთის მწვერვალებს და გგონია, რომ ამ ხევ-ხუვებში, ამ ღრიანკლებში ქაჯეთს დაუსადგურებია და ეს არის ასტყდე-ბა ქვეყნის გამანადგურებელი ჰექა-ქუხილი და ქარიშხალიო. უწინ ალე-რსით და გულის სიამით ვუჭვრეტდი ბუნების მშვენიერ სურათს, ბუმბერაზ მთათა მკაფიო გამოხატულებას ცის ტატნობზე, რომელიც ათასგვარ უც-ნაურ სახეს ღებულობს და ოცნებას გვიცხოველებს.

ეხლა თვალს არიდებ ამ სურათს, ტანში ჟრუანტელი გივლის და ბუტ-ბუტებ: ღმერთო, მშვიდობით გვატა-რეო.

არა გჯერათ? აბა გაიხედეთ აი იმ მთის მწვერვალისაკენ, რომელიც არაქსს დასცქერის და მის შხუილს გარინდე-ბული ყურს უგდებს; აი იმ მთისკენ, რომელსაც მთვარე ზურგს უკან ამო-ჰფარებია და ყველა მის ნაკვთს უც-ნაური სინათლით აშუქებს, ხედავთ თუ არა იქ, იმ წვერზე უძრავად მდგარ ადამიანს, რომელიც მოჩვენებასავით მოვლინებია იმ არე—მარეს. მის თავ-თან მოსჩანს წვრილი ხიშტი სასიკვ-დილო იარაღზე აგებული. სდგას უძ-რავად ღამის გუშაგი და დასცქერის დადუმებულს, ბნელით მოცულ ჯო-ჯოხეთს.

ჩამოვა კი იმ მთიდან დილით ღა-მის გუშაგი? თუ წყვდიადიდან მოვლი-ნებული სიკვდილი სამუდამოდ დაა-სამარებს მას ამ ღრიანკლებში? ნამდ-ვილი ჯოჯოხეთია!...

აქ ადამიანი ადამიანს დაეძებს სასი-კვდილოდ, უცნაური ნადირობაა გა-მართული! ვინც მეტს მოჰკლავს, ვაჟ-კაციც ის არის და ქუდიც მას ჰხუ-რავს!...

ჯულფაში ღამე ჩამოსული მოუთ-მენლად ველოდი გათენებას, მინდოდა მენახა ჩემის თვალით ნაშთი დეკემბრის ამბებისა.

ეხლა რუსეთიდან სპარსეთისაკენ უკან ჰბრუნდებიან გამოქცეულები, მაგ-რამ უსაბუთოდ აღარ უშვებენ საზ-ღვარზე. საჭიროა ადმინისტრაციის მოწმობა, რომ ის სპარსეთიდან გამო-ქცეულია.

ჯულფიდან საღამოს წაველი სოფია-ნისკენ. მთელი ღამე გზაში გავათენე და თვალი არ მომიხუჭავს. ნახულმა და გაგონილმა მეტად ამაღელვა და დამირღვია სულის სიმშვიდე ეხლა კი-დევ მელოდა უფრო უცხო სანა-ხავი:

— სოფიანის ბრძოლის ველი!

ამ ბრძოლამ გადასწყვიტა თავრიზის ბედი, აქ გაანადგურა ჩვენმა ჯარმა მაჰმადიანთა რაზმი.

ჩემს დღეში არ მინახავს ბრძოლის ველი, ადგილი ადამიანთა ხოცვა-ჟლე-ტისა, ადამიანის გამხეცებისა, სადაც აღარა არის რა ღვთიური კაცის არსე-ბაში, სადაც ადამიანის სიცოცხლეს ფასი აღარა აქვს და მისი პიროვნებაც სრულიად უარყოფილია. არ მენახა ველი ადამიანის საზარელი სიკვდი-ლისა.

და ფიქრი ამ უცნაურ და საშინელ სანახაობაზე არ მაძლევდა მოსვენებას, არ აკარებდა ჩემს თვალს რულსა.

კარგად გათენდა, როცა გადავია-რეთ „მთანი მარანდისანი“, ვნახე ძველი, შაჰაბასის—მიერ აგებული ქარ-ვასლა, ეხლა დანგრეული და განად-გურებული.

საძაგელი ამინდია. თოვლი მოდის წვიმა-ნარევი და უწყალოდ გვითო-შავს სხეულსა.

შორით, ხევის ბოლოს გამოჩნდა მა-ღალი ალვის ხეები და საამოდ თეთ-რად გაპენტილი ნუშის ბაღები. გულ-მა შფოთვა დამიწყო. ვიფიქრე, აი ცოტაც, მოუხვევთ ხევის ბოლოს და შე... ...ო სოფიანში, ვიხილავ განადგუ-რებულს და აკლებულს სოფელს და ... მერე არ ვიცი, ვეღარ წარმომე-დგინა ბრძოლის ადგილის სურათი.

მივედით. გზის პირას მდებარე სახ-ლები ზოგი დანგრეულია, ზოგს სახუ-რავი აქვს აცლილი, ფანჯარა და კა-რები ყველგან ამოღებულია.

საიმისო არაფერია, მაინც და მაინც თითქო ადამიანთა დაღუპვის კვალი არსადა სჩანს. მცხოვრებლები ცოტა არის, თან და თან ბრუნდებიან.

სხვა? სად არის ის ადგილი, სადაც კაცნი, გვირგვინნი ამ ქვეყნისა, ღვთის სახის და სათნოების მატარებელნი ერთმანეთს უწყალოდ ხოცდენ, დაუნ-დობლად ჰგლეჯდენ ღმერთის მიერ შთაბერილ უკვდავ სულსა?!.

მინდვრებს არა ეტყობოდარა. სა-კვირველია! მიველ ბინაზე, მეგობრე-ბი შემომეგებნენ, გადამკოცნეს. გულს სევდა მომეშვა: მაგრამ ჩემი ფიქრი მაინც არ მასვენებს.

მეგობრებს შევეხვეწე:

— მაჩვენეთ ბრძოლის ადგილი. ვერსად შევამჩნიე. ნუ თუ აქ არა მომხდარა რა? მაგრამ სახლები რომ დანგრეულია!!

მაჩვენეთ...

მეგობრები გამიძღვნენ და მაჩვენეს.

ვნახე პირველად ჩემს სიცოცხლეში!..

აი იქ, მაღლობზე გზის პირას, რომ სოფლის მეჩითია, იმის ზევით ფერ-დობზე მრავლად მოსჩანს ნაჩიჩქნი მი-წა, აუარებელი ყვავ-ყორანი თავს დასტრიალებს იმ ფერდობს და თავისი გულშემზარავი ღმუილით იქაურობას აყრუებს.

აი იქ, გზის პირას, პატარა კორ-დზე ჯვარი ასვ...ა... აქეთ სამარე ლოდე-ბით მოკენჭილი, ...ქით წყლის პირას კიდევ სამარე, სამარე... ბევრი სამარე.

აი თურმე რა ყოფილა „ბრძოლის ველი“!

— ადამიანთა სამარე...

ვინ არიან, სადაურნი?... რასა ჰგრძნობდენ? ვინ უწყის, ვინა კითხუ-ლობს!...

და გამახსენდა უკვდავი შოთა:

„ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ, რას
გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
სად წაიყვან სადაურსა, სად ღლუ-
ფხვრი სადით ძირსა“...

ღმერთო ძლიერო! წუთი-სოფელ-ში სტუმრად იყო ადამიანი და ასე განშორდე მას!... საშინელებაა, მწა-რეა ჩვენი ცხოვრება!

მეგობრებმა კვლავ მიამბეს:

აქ დაბანაკებულ ქურთებს რუსებმა სამის მხრით მოუარეს და მოულოდ-ნელად თავს დაესხნენ. იმ დროს ისი-ნი ისხდნენ მეჩითის წინ და ფლავს შეექცეოდნენ, როდესაც მაღლა გო-რაზე სროლა შეიქნა მოდარაჯეთა და ჩვენს ჯარს შორისო. და დაერივნენ, თურმე. სასტიკად გაანადგურეს. ვინც ვერ გაიქცა, ყველა დაიღუპა სროლის დროს. ბევრიც ზარბაზნით დანგრეულ შენობებში დასამარდაო. მარანდისა და შარაფხანის გზები ჩვენს ჯარს ეკავა. ერთი გზა-ღა დარჩათ—თავრი-ზისაკენ და ქურთებიც აქეთ გაეშურ-ნენ, მაგრამ სოფ. სავალანთან მათ დაუხვდა მესამე რაზმი ჩვენი ჯარისა და მთლად გაანადგურა. მთელი გზის პირი ორივე მხრით სასაფლაოს წარ-მოადგენს. სოფიანსა და სავალანში ათას კაცზე მეტი იქნება დასამარე-ბულიო.

ათასი კაცი, ათასი სიცოცხლე... იქ კიდევ, დასავლეთისაკენ ათიათასე-ბი, ასიათასები...

თითქო მთელი დედამიწა ერთ პირ-დია საზარელ სამარედ ლამობს გადა-ქცევასა.

ის. ვარაზაშვილი

25 მარტი ს. სოფიანი.

# იურიდიული განმარტება.

**რჩებათ თუ არა მშობლებს მემკვი-დრეობა, როდესაც მათ შვილებს შთამომავლობა არა ჰყავთ?**

„თემის“ ხელის მომწერი ე. ა—სა დაგვეკითხა, შეუძლია თუ არა მას, როგორც დედას, დაისაკუთროს მისი გარდაცვალებული შვილის თანხა, – იმ შვილის, რომელსაც შთამომავლობა არ დარჩენია.

ამ კითხვაზე უნდა შემდეგი ვუპა-სუხოთ:

რუსეთის სამოქალაქო კანონების თანახმად მშობლებს არ შეუძლიათ მემკვიდრენი გახდენ თავიანთი შვილე-ბის იმ ქონებისა, რომელიც ამ უკა-ნასკნელთ კეთილ-შენაძენი აქვთ. უკე-თუ შვილები გარდაიცვლებიან უშთა-მომავლოდ, მაშინ მათი კეთილ-შენა-ძენი ქონება მშობლებს ეძლევათ მათ სი-ცოცხლეში სახმარებლად. მშობლებს ეს ხმარების დროს არ შეუძლიათ ეს ქო-ნება არც გაჰყიდონ, არც დააგირა-ონ და არც სხვაფრივ გადაიტანონ სხვის სახელზე. ეს კანონი ეხება არა მარტო მოძრავ ქონებას, არამედ კე-თილშენაძენ უძრავსაც. საგვარეულო უძრავი მამული კი უშვილოდ მიცვა-ლებულის შემდეგ გადადის ძმებზე, დებზე და თვისტომ ნათესაობაზე, მა-შინაც კი, როდესაც მიცვალებულს ცოცხალი რჩება მშობლები, ასე რომ ამათ ნება არა აქვთ სიცოცხლეში იხ-მარონ უშთამოებოდ გარდაცვალებულ თავიანთ შვილის საგვარეულო უძ-რავი ქონება, გარდა იმისა, როდესაც ეს ქონება მათ შვილს მიღებული აქვს მშობლებისაგან როგორც საჩუქარი. ამ შემთხვევაში ეს ქონება—საჩუქარი უბრუნდებათ ისევე მშობლებს. საზო-გადოდ, თუ უშთამომავლოდ მიცვა-ლებულ შვილს რჩება ქონება, უძრავი იქნება იგი თუ მოძრავი, უკეთუ იგი წარმოადგენს მშობლებისაგან ნაჩუქარს, მაშინ ეს ქონება უბრუნდებათ როგორც საკუთრება მშობლებს. ზემოაღნიშნული უფლება უშთამომავლოდ მიცვალებულ შვილის ქონების სიცოცხლეში ხმარე-ბისა მინიჭებული აქვთ მხოლოდ მშო-ბლებს და არა პაპებს, ბაბუებს, ბე-ბიებს, დიდედებს და სხვ. თავიანთ შვილების ქონება მშობლებს შეუძლიათ მიიღონ საკუთრებად მხოლოდ მაშინ, როდესაც მაგიერ მოადგილეობის უფ-ლების თანახმად (по праву преемства) ისინი გახდებიან მემკვიდრედ მათ შვილების თვისტომ მემკვიდრეების (отъ наслѣдниковъ дѣтей въ боковыхъ линіяхъ), მაგალითად, რო-ცა მშობლები გახდებიან მემკვიდრედ თავიანთ ძმისა, რომელიც უშთამომა-ვლოდ გარდაცვალებულ მათ შვილს ხვდება ბიძათ.

თანხა, რომელსამე ბანკში ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში შე-ტანილი შვილის-მიერ და უანდერძოდ მისგან დატოვებული უშთამომავლოდ მიცვალებულის შემდეგ უბრუნდება მშობლებს, სრულ საკუთრებად, უკე-თუ ესენი დაამტკიცებენ სათანადო **სასამართლოს მოწმობის** საშუალე-ბით, რომ ეს თანხა მათგან მიიღო შვილმა. უკეთუ მშობლებმა ასეთი მოწმობა ვერ იშოვეს, მაშინ ამ თან-ხიდან მათ ეძლევათ სიცოცხლეში მხოლოდ სარგებელი. რომ სათანადო სასამართლომ ამ მოწმობის მიცემაში უარი არ უთხრას მშობლებს, მათ უნ-და ყველა ზომები მიიღონ, რომელნიც დაწესებულია კანონისაგან მემკვიდ-რეობის დაცვისათვის. რასაკვირველია, თუ მიცვალებულ შვილებს დარჩათ ვალი ან ხაზინისა, ან კერძო პირებისა, მაშინ ამის პასუხი უპირველესად უნ-და გასცეს უშთამომავლოდ მიცვალე-ბულ შვილის ქონებამ; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მშობლებს განა-ხორციელონ თავიანთი უფლება.

ამგვარად, „თემის“ ხელისმომწერს ე. ა—სას მოცემულ კითხვაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ მისი შვილის შემ-დეგ მას შეუძლია მიიღოს მხოლოდ მიცვალებულის-მიერ დატოვებულ თან-ხის სარგებელი; თვით თანხა კი უნ-და გადავიდეს მიცვალებულის ძმებსა და დებზე, თუ ესენი ჰყავს, თუ არა და მის მახლობელ თვისტომ ნათესა-ვებზე (въ боковую линію).

გრიგოლ დიასამიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

ხელოვნურად — სამკურნალო და

შეზავებული — ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულისწვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდი-ლი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერ-ნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.